

თავისუფალი საქართველო

5841

ინანვარი


№ 1

1913

რედაქციისათვის.

ისტორიულმა პირობებმა ქართველი ერი ჩააყენა მეტად დიდ განსაცდელში. დღეს თქვენ ვერ ჰპოებთ ვერც ერთს მხარეს ქართველ ერის არსებობისას, რომელზედაც მტრებს იერიში არ მოჰქონდეთ. მოპირდაპირე ძალები ქართველ ერს დაშლას, გაქრობას უქადიან. თვით მის შემადგენლობაშიაც არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ამ გარედან მოტანილ იერიშს ხელს უწყობენ. ასეთი მდგომარეობა გვავალებს ჩავეფიქრდეთ, ავწონ — დავეწონოთ ჩვენი არსებობის ყოველი მხარე, ნათლად შევიგნოთ ჩვენი მდგომარეობა და გამოვძებნოთ ზომები ქართველ ერის პიროვნების დასაცველად. მეორე მხრით, ჩვენ მდგომარეობაში სხვა ერებიც ყოფილან და დღესაც არიან. თვითეული მათგანი იბრძვის, რათა მონობას თავი დააღწიოს და განთავისუფლდეს. ჩვენ უუკვირდებით მათ, ვსწავლობთ მათ ბრძოლის საშუალებათ და ამით ვიძენთ მეტ გამოსდილებას და შეგნებას. ჩვენის აზრით, არც ერთი დიდი საკითხი ქართველი ერის არსებობისა ჯერჯერობით არ არის ეროვნული თვალსაზრისით გარკვეული და გადაჭრილი. ჩვენ ვეძებთ ყველა ამ საკითხებს მივსეთ გარკვეული გადაჭრა, შევიმუშაოთ მთელი გეგმა ეროვნულ თვითარსებობის დასაცვისა, საქართველოს აღდგენისა, მისი განთავისუფლებისა და ამ გეგმის გარშემო თავი მოვუყაროთ მთელ შემომქმედ საქართველოს. ჩვენ კარგად გვემის სიძნელე იმ საქმისა, რომელსაც ხელს ვკიდებთ, ისიც კარგად ვიცით, თუ როგორი უნდობლობით მიეგებება ჩვენს აზრს გათანხმებული, ეროვნულად გარყვნილი ნაწილი ქართველობისა, მაგრამ ეს ჩვენ არამც თუ არ გვაშინებს, პირიქით მეტ ძალას და სიმხნევებს გვაძლევს. შედარებით ვერც ერთს ერში ვერ ჰპოებთ თქვენ იმდენ მოლაღატეს, გამსემს, სამშობლოს ორგულს, რამდენიც ჩვენშია. მაგრამ ქართველ ერის შემოქმედების ძალა იმდენად დიდია, რომ მათაც გასრესს, გარეშე მტერთაც მოიგერიებს და გაიკვლევს გზას თავისუფლებისკენ. დარწმუნებულნი, რომ სამშობლოს ყოველი შვილი ჩვენთან არის სულიერად, იტანჯება იმავე საკითხებით, რომელთა გამორკვევა ჩვენ მიზნად დავისახეთ, ჩვენ ველით მათგან თანაგრძნობას, თანამშრომლობას, ჩვენთან ერთად მუშაობას და ბრძოლას ძვირფას სამშობლოს, დიდებულ ქართველ ერის პოლიტიკურად აღდგენის, მისი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

777 5



დამოუკიდებელი საქართველო და ქართველი დემოკრატია.

შირი და დემოკრატია — აი, ორი მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომელიც საოცარი სისწრაფით იზრდება და განსაზღვრულ სახეს იღებს. დემოკრატიის გამოღვიძება, დემოკრატიის საპოლიტიკო ახპარესზე გამოსვლა ეს ახალი და ძლიერა მოსილი მოვლენაა თანამედროვე ცხოვრებისა. ხოლო ყოველგან, სადაც კი ეს დემოკრატია ამოდრავდა, მისმა მოძრაობამ მიიღო ეროვნული სახე. დემოკრატია გადის საქვეყნო სარბიელზე ეროვნულ შემოქმედების ფორმით. ერთი თანდათან ყალიბდებიან და თავის ინდივიდიალურ სახეს იღებენ. ეს სახე ეროვნებისა არის სახელმწიფო. რამდენადაც ერი იზრდება, იმდენადაც ის სახელმწიფოდ გარდაიქმნება. ერის ზრდა, ერის განვითარება არის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქცევა. ინგრევა ძველი, ხელოვნურად აშენებული სახელმწიფოები, ინგრევა ძველი დესპოტიები და მათ ნანგრევზე შენდება ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოები. აი, გადახედეთ ისტორიას, ნორვეგია შორდება შვედსიას, რათა საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქონდეს, რომ თავისუფლად შეეძლოს საკუთარი ეროვნული საქმიანობა, უნგრეთი ებრძვის ავსტრიას, აწყობს ეროვნულ აჯანყებას, რათა მას სრულებით მოსწყდეს, იმარჯვებს ბატონზე, მაგრამ ამ დროს თავს დაესხმება ევროპის ჟანდარმი, რუსის ნიკოლოზი თავისი მხედრობით და ამარცხებს მას. მაინც უნგრეთი ჰქმნის თითქმის დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მხოლოდ პირადი კავშირით შეთანხმებულს ავსტრიასთან, ჩეხია მუდამ ბრძოლაშია საკუთარ სახელმწიფოებრივობის მოსაპოვებლად. პოლონეთი აწყობს რამდენიმე აჯანყებას თავის განსათავისუფლებლად, დამარცხებული ხელახლა ძალს იკრებს ახალ გამოსვლისათვის, ბრძოლა ჩუმი თუ ცხადი მუდმივ სწარმოებს. საბერძნეთი ოსმალოს მიერ დამონებული ხუთას წელიწადს მოუხვეწებლივ იბრძვის, ვიდრე მიზანს არ აღწევს, პატარა შავი მთა მუდამ იარაღში ზის, რათა დაიპყრო თავისი პიროვნება; სერბია და ბულგარია, რუმანია, აი ის ქვეყნები, სადაც ეროვნული იდეისთვის ათასობით თავს სდებდნენ მამულიშვილნი, ვიდრე დროშა სამშობლოს თავისუფლებისა არ დაამკვიდრეს, თვით ალბანთა ერი, ეს მთის არწივნი, გასომხლდა და დღეს თუ ხვალ თავის განსაზღვრულ ეროვნულ სახეს მიიღებს, თავის სახელმწიფოს შექმნის. და ეს ბრძოლა ეროვნულ სახის აღდგენისათვის იმდენად მწვავეა, იმდენად ერი დაჩაგრული წელში მავრდება და წინ მიდის, რამდენადაც მისი დემოკრატია ძლიერია. დემოკრატია, ხალხი — აი ვინაა ნამდვილი ეროვნულ ძალის მატარებელი.

რას ვაკეთებთ ჩვენ, ქართველები?

რა მდგომარეობაში ვართ?

საქართველოს ტერიტორია, ეს ძირითადი საფუძველი, ურომლისოდაც ქართველი ერი აუცილებლივ გადაშენდება, დღითი — დღე იფლანგება და ქართველ ერს ფეხ ქვეშ ეცლება. მას ისაკუთრებს რუსის მთავრობა, მწყობრი სახელმწიფოებრივი ზომებით, სახელმწიფო ბანკის, საგლეხო ბანკის, ძალათ მითვისების და სხვა ათასგვარ საშვალეობათა შემწეობით აგ-

ლევანს ქართველ ხალხს მიწა-წყალს და ამ ადგილებს სთავაზობს გადმოსახლებულთ, ამავე დროს ქართველი ხალხი უმიწა-წყლობით წელში იხნიქება. მას იგდებს ხელში ხარჩი სომეხი ჩვენივე უგუნურობის წყალობით გამდიდრებული. მასვე ეპატრონება უცხო კაპიტალისტი, რათა ჩვენვე მონად გვაქციოს და ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენი ხელით თავის სამშობლოში გადახიდოს. რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ ქართველ ერს არ აქვს საშვალეობა თავი დაიცვას, ქართველ ერს არ აქვს თავისი სახელმწიფო.

ქართველ ერის უდიდეს ნაწილს, ქართველ გლეხობას, უსასტიკესი ულული მოთარეშე თავადისა კისერზე აწევს, ხნეჟს მას მიწამდე, ადამიანობას უხშობს, დღე და დამ მდომეშავეს შიმშილობაში აგდებს, ამსიორებს ხნეობრივად; იმიტომ რომ ქართველ ერს არ აქვს სახელმწიფო, რათა მისცდლოს თავის შემომქმედ ნაწილს ფრთა გააშლევინოს, უსაქმურნი და შარახიტნი დასცეს და ამით თვითონაც ამადლდეს.

ჩარჩი და უცხო კაპიტალისტი დაურიდებლად სტარსეავს ქართველ ერს, იმიტომ რომ მას არ აქვს საშვალეობა თავისი თავი დაიცვას, მას არ აქვს თავისი სახელმწიფო.

საქართველოს შუა გულში, ქალაქ თელავში გუშინდელი მოსული ჩარჩი დღეს ბატონად ახსადებს თავის თავს, არ ირჩევს ქალაქის თვითმართველობაში არც ერთს ქართველს, უარყოფს ქალაქის საზღვრების გაფართოებას, რადგან ეს გაფართოება ქართველთა ქალაქში გამრავლებად იქნება. მოსული, ეკონომიურად გაძლიერებული, დღეს ქართველ ერის პოლიტიკურ ბატონობასაც იჩემებს; იმიტომ რომ ქართველი ერი დაქსაქსულია, მას არ აქვს საშვალეობა თავი დიცვას, მას არ აქვს თავისი სახელმწიფო.

ქართველი მშრომელი ხელი საქართველოში უცხოა, ის ეჯავრებათ. მას ექვის თვალით უსჯერენ, მას არაძლევენ სამუშაოს არც სახელმწიფო დაწესებულებაში, არც ქალაქის თვითმართველობაში, თუ ეს ქალაქის თვითმართველობა არა ქართველთა ხელშია. ქართველ მუშას სამშობლოდან ერეკებიან. იმიტომ რომ ქართველი რი სხვისი სათამაშო გამხდარა, ის ვერ უწევს მფარველობას თავის შვილს რადგან მას არ აქვს თავისი სახელმწიფო.

ქართული ენა გააძევეს ყოველ აწესებულებიდან. მას მოურიდებლად სდევნიან, დღითი-დღე ახშობენ, სობენ, ქართულ აზროვნებას გზას უხშავენ, ქართველთა ეროვნული შემქმედება ფრთას ვერ შლის, ქართველ ერს უდაგვარება მოეღის, იმიტომ რომ მას არ აქვს საშვალეობა თავი დაიცვას, მას არ აქვს საშვალეობა თავი კულტურას მოუაროს, მას არ აქვს თავისი სახელმწიფო.

ერთი სიტყვით არ დარჩა არც ერი მხარე ქართველი ერის არსებობისა, რომელხედაც საქართველოს მტეუ იერიში არ მოქონდეთ. თვით ჩვენი წარსულის დიდებულ ნაშთთაც კარ ინდობენ. ქართველი ერი უნდა აღდგეს ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ, გაიმართოს წელში და ამაყად შესძახოს მასზე მოსულთ: შეჩერდით! სიცოცხლე მწყურია! მე მზად ვარ თავი დავიცვაო.

და რადგან ეს დრო აუცილებლივ ღუდგება ქართველ ერს, მას გზაც გარკვეული უნდა ჰქონდეს თავის მიზნენ.

საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფო — აი რა იხსნის ქართველ ერს,

აი რა მისცემს მას საშვალეებას ხელახლა ღირსეულად წელში გაიმართოს და ერთა შორის იყოს ერი თავმოყვარე, ძლიერი კულტურით და კმაყოფილი თავის შვილთა კეთილდღეობით.

დღემდის ქართველ ერის წინსვლას გარეშე პირობებიც აფერხებდა: ურდოთა შემოსევანი და ძლიერნი მტერნი მეზობლად, ურდოთა შემოსევანი დღევანდელმა კულტურამ შეუძლებელი გახადა, რადგან ყოველი ერი დაბინავა, სპარსეთი და ოსმალეთი, როგორც დესპოტიური სახელმწიფონი, უკვე ისტორიას ბარდებიან, ირღვევიან და მათ ნანგრევებზე შენდებიან ახალი ეროვნული სახელმწიფონი, დაგვრჩა რუსეთი. რა გვაკავშირებს ჩვენ რუსეთთან? რომელი არსებითი მხარე ქართველ ერის მხოვრებისა მოითხოვს რუსეთთან კავშირს? არც ერთი.

მოგეხსენებათ, დღევანდელ პირობებში ეკონომიური ურთიერთობა მეტად დიდ როლს თამაშობს. ვნახოთ, რა გვაქვს ჩვენ საერთო რუსეთთან. საქართველოს ნაწარმოების გასაღებას მხოლოდ აბრკოლებს და აფერხებს რუსეთი. საქართველოს გააქვს უსხოეთის ბაზარზე შავი ქვა. მიდის რუსეთში? ისეთი მპირედი ნაწილი, რომ სახსენებლადაც არ ღირს. სამაგიეროდ რუსეთმა ქართულ მარგანესს გზა რომ შეუკრას და თავისი მეორე ღირსებანიანის ბაზარი უზრუნველყოს, ისეთი დიდი ტარიფი შემოიღო რკინის გზაზე, რომ ბრაზილიიდან მოტანა მარგანესისა ინგლისში უფრო იაფია, ვიდრე ჭიათურიდან ზესტაფონში, და თუ ჩვენი წარმოება მაინც არსებობს, მხოლოდ იმიტომ რომ ჩვენი შავი ქვა ღირსებით პირველობს, აქ ადამიანი განზრახ ქართველი ერის მტერი უნდა იყოს, თვრა როგორ ვერ დაინახავს; რომ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენი ექსპლოატაციის და რუსეთის გამდიდრების საშვალეებად გადაქცეულა.

საქართველოს გააქვს აბრეშუმი, ისიც სულ ევროპაში მიდის. საქართველოს გააქვს სიმინდი, ისიც ევროპაში მიდის, რუსეთი სიმინდს არ ხმარობს და მაშ მისი ბაზარიც ამ ნაწარმოებისათვის დაკეტილია. საქმარისია გავიხსენოთ, რომა შიმშილობისდროს რუსეთმა აღკრძალა ხორბლელულობის სახლვარ გარეთ გატანა, სიმინდის ფასი დაეშა ხუთ შაურამდე. ნიგვზის ხე, ბზა, ხე-ტყე, კვერნი, ხილი, საზოგადოთ ყოველი ნაწარმოები, რომელსაც ქართველი ერ იძლევა, ევროპისაკენ იკვლევს გზას, და რამდენად საქართველოს საწარმოვო შემოქმედება აიწვეს, იმდენად ევროპის ბაზარზე ჩვენი მონაწილეობაჯაიზრდება. კედელი საქართველოსა და ევროპას შორის ოსმალის სახით იჯრევა, საქართველო ისევ ძველ გზას უბრუნდება, ის ისევ უერთდება ხლთა შუა ზღვის სივილიზაციას, რომლითაც დღესაც კი მთელი კაპობრობა იკვებება. საქართველოს საწარმოვო წინსვლა და განვითარება, ეს ევროპასთან კავშირის ზრდა — განვითარებაა.

ეგების რუსეთი გვეწყალობდეს ივისი ნაწარმოებით? აქაც ჩვენ დაბრიყვებული და დაჩაგრული ვართ, რუთმა მაღალი ბაყებით შემოფარგლა თავისი საზღვრები, კარი ჩაუკეტა ევროპის ნაწარმოებს და ორჯერ და ხშირად ათჯერ უფრო ძვირად ასაქბს ჩვენში თავის ევროპის ნაწარმოებებთან შედარებით ყველაფრით უზო მდარე საქონელს, საქმარისია ერთი მაგალითი მოვიყვანოთ: რუსის ქარი ჩვენში ფასობს გირვანქა არა ნაკლებ სამი შაურისა, იგივე შაური კი საზღვარს გადასცილდება თუ არა,

ფასობს ორ კაპეიკად. პოლიტიკურად დამონებული საქართველო რუსეთ-მა აქცია თავის საშინაო ბაზრად და თავისუფლად ტყავს აძრობს ქართველ ერს. მაშ რუსეთი ორნაირ ექსპლოატაციას ეწევა ჩვენში, ის ტყავს აძრობს საქართველოს, როგორც მწარმოებელს, ის ტყავს აძრობს საქართველოს, როგორც მხმარებელს.

მაშ რამ უნდა მიგვიზიდოს რუსეთისაკენ? მეწნიერებამ? რუსეთის მეწნიერება ხომ სუსტია ყოველ მხრივ, ღარიბი, პალმზრივია, განსაკუთრებით რაც შეეხება საზოგადოებრივ მეწნიერებას. მისი საკვები ევროპიდან მოდის და აქ თავისებურად შეკვეთილი ვრცელდება. საუკეთესო წიგნები რუსულ ენაზე მხოლოდ თარგმანია, რად გვინდა თარგმანი, როცა პირდაპირი წყარო ჩვენთვის უფრო ახლოა, რად გვინდა სხვისი ნალექი, როცა საზრდოზე ხელი ჩვენ თვითონ მიგვიწვდება? ან რად გვინდა ის „განათლება“, რომელსაც რუსეთი იძლევა? რუსეთის მთელი განათლება ეს ერთი დიდი ლაბორატორიაა მომავალ მოხელეთა დასამზადებლად, ჩვენ გვინდა სოდნა ტენიკური, სასარგებლო, შემომქმედი, ამისთვის კი ევროპა დაუფასებელია.

თვით ევროპის მხოვრება ერთნაირი ღრმად აღმზრდელი სკოლაა ქართველისათვის, ამას ისეც უნდა დავძინოთ, რომ ქართველის აზროვნების თვისება და საზოგადოებრივი მიდრეკილება გაცილებით მეტს საზრდოს პოებს ევროპაში.

ეგების რუსეთის პოლიტიკური მხოვრება მიგვიზიდავს? ეგების აქ სოციალურ საქმიანობის ნიმუშებს გავეცნობით? ეს ხომ მთლათ მასხრობა იქნება. ბარბაროსული, დესპოტიური რუსეთი აბა სუდის მეტს რას ასწავლის სხვას? რა აქვს მას პოლიტიკაში გარდა დაჩაგვრისა, დაწვისა და დაბნევისა სხვა საშეალებს! ეს მუდმივი შიმშილობის, სიბნელის და მათრახის ქვეყანაა. მას შიშით შეგყურებს დემოკრატიული ევროპა, არ მოგვედვას, არ წაგვლეკოსო, რა თავისუფლება უნდა გასწავლოს იმ სახელმწიფომ, რომელმაც ოდესღაც თავისუფლების მოყვარული კახაკი გარდაქმნა ადამიანთა თავისებურ ჯიშათ. თუ რას წარმოადგენს ეს ჯიში ადამიანთა და რა სისასტიკით ედება ყოველ ხალხს მისი ამკლები თარეში, ეს ხომ ყოველ ჩვენგანს მოეხსენება.

ეგების რუსეთის კულტურული განვითარება გვიზიდავს? ვისაც რუსეთი შეუსწვლია ან და უნახავს, მთლად დასემული და გათახსირებული თუ არ არის, ესათუოდ აღიარებს, რომ ქართველი ერი, როგორც ესეთი, როგორც მასსა, გაცილებით მაღლა სდგას თავის კულტურით, ვიდრე რუსეთის ერი. ქართველი საესებით მზად არის განახორციელოს ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი საქმიანობა ევროპიული აზრით, მაშ რა გინდათ ამ რუსეთისაკენ? არავითარი ინტერესი ქართველ ერისა, არც ეკონომიური, არც კულტურული, მით უფრო პოლიტიკური არ მოითხოვს რუსეთთან ერთობას, პირიქით, რუსეთის ბატონობა მას სრესს ეკონომიურად, ხელს უშლის განვითარდეს კულტურულად, აბეჩავებს პოლიტიკურად. რუსის ბატონობა უსასტიკესი განსაპდელი ქართველი ერისთვის.

ჩვენ რუსეთთან გვაკავშირებს ის უხეში ძალა, რომელსაც რუსეთის დესპოტია ეწოდება. მაგრამ აქაც გული საგულეს გვაქვს. ქართველ ერს არა ერთი დესპოტია უნახავს და მათ დანგრევასაც მოესწრო. სტიქიური

აუცილებლობით მიმდინარე ერთა განვითარება ამ საკაცობრიო მაჯლაჯუნასაპ მოუღებს ბოლოს, ეს ქვეყნიერების ჟანდარმის დაინგრევა, დაიშლება.

მაშ ქართველთა ერო, მოსწყდის ამ დესპოტს, მოსწყდის აზრით, მოსწყდის ყოველი კავშირით, იბრუნე პირი შენს მდიდარს ეროვნულ კულტურისკენ, გააპოხიერე ის მთელი კაცობრიობის საუკეთესო ნაწარმოებით და ისევ ამადღადი, ამადღადი როგორც შენს საკუთარ, ისე მთელ კაცობრიობის თვალში.

დღევანდელ ქართველს ორი გზა უდევს წინ: ერთია გზა დაქემისა, გათახსირებისა, სიკვდილისა, მეორეა გზა შემოქმედებისა, სიცოცხლისა, თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა.

ყოფილან ერები და გამქრალან. საქართველოს ბევრი ასეთი ერი ახლავს.

რა არის ერის სიკვდილი? ეს არაა ფიზიკური სიკვდილი, ე. ი. ერის შემადგენელ წევრთა ბუნებრივი გარდაცვალა. არა, ფიზიკური პიროვნება რჩება, ხოლო ის გვარდება, ის ჰკარგავს თავის საკუთარ სახეს და სხვა ერში ითქვიფება. ერის სიკვდილი არის საკუთარ ეროვნულ პიროვნების უარყოფა. ქართველ ერში, როგორც დამონებულში, დღეს ბევრია ისეთი ელემენტები, რომელნიც მას დაღუპვისაკენ მიაქანებენ.

ბევრი მისი შვილი სხვა და სხვა სამოსელში გახვეული მის წინააღმდეგ მუშაობს, უმეტესობა ამ რიბხში, რასაკვირველია, გამორჩენისათვის, როგორც რუსის მოხელე, ხელს უწყობს თავის სამშობლო ერის შემბორკვას და ამ ხელობით იკვებება! რა საზიზღრობაა! მაგრამ ქართველ ერს დღიდან რუსის შემოსვლისა ჩვენში ბრძოლა არ შეუწყვეტია. ჩუმი უკმაყოფილებით, სიტყვიერი პროტესტით, კერძო პირთა თავდადებით, მასიური აჯანყებით ქართველი ერი ებრძვის დამმონავებელთ და ამით ცდილობს აღადგინოს თავისი პოლიტიკური პიროვნება.

ერი იბრძვის თავის პოლიტიკურ პიროვნების აღდგენისათვის და რამდენადაც ეს აღდგენა ხდება, რამდენადაც ქართველისთვის ირკვევა მისი ეროვნული პიროვნება, იმდენად ის უპირდაპირდება სხვა ერებს მასზე იერიშით მოსულთ. მაგრამ დღემდის ქართველ ერს ვერ შეუქმნია მთლიანი ეროვნული პროგრამა და სისტემა ბრძოლისა.

ეროვნული მხარება მეტად რთული მოვლენაა, ამიტომაც თვით ეროვნული საქმიანობაც მეტად რთულია, მოითხოვს დიდ წინდახედულობას, დიდ აწონ—დაწონას, ისე საქმის დაჭერას, რომ სადღეისო ჩვენებითი გამარჯვებისათვის შორეული მერმისი არ იქმნს შელახული. თვით ბრძოლასაც მაშინ მივყევართ მიზნისაკენ, როცა ის სისტემატიური, წინასწარ აწონ—დაწონილი და გაკვლეულია. ის გზა, რომელიც დღემდის აირჩიეს ჩვენი მხარეების არამკითხე ხელმძღვანელებმა, იყო გზა მორჩილებისა, გზა დათმობისა, გზა სულიერ მონობისა. ისტორიამ უარყო ეს გზა. ყოველ ქედის მოხრას, ყოველ მორჩილებას ახალი მოთხოვნა მოჰყვა, ქართველი ერი თანდათან იმასაც კი ჰკარგავს, რაც წინედ მოვპოვებოდა. ჩვენს უარყოფით ამ გზას. ვინც ქართველ ერის თავისუფლებისათვის არ ზრუნავს, ვინც მის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის არ იბრძვის, ის სამ-

შობლოს მოდლაატეა. ბრძოლა ეროვნულ თვითარსებობისთვის, ბრძოლა საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის—აი დროშა ყველა ქართველისა, რომელიც სამშობლოს ემსახურება. ყოველი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საკითხი, რომელიც ჩვენ წინ წარმოსდგება, მხოლოდ ერთი პრინციპით უნდა გადიტოს, პრინციპით ქართველი ერის სარგებლობისა. რაც მის არსებობას ხელს უწყობს, რაც მის აღდგენას აჩქარებს, ის კარგია, რაც ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგაა, ის მავნეა. ესაა ჩვენი ძირითადი საზომი, როგორც ერთა შორის დამოკიდებულებაში, ისე საშინაო საქმიანობაში.

ქართველს, როგორც ყოველივე ერს, ჰყავს თავისი მეზობლები, არიან ერები, რომელთაც მას ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულება აქვს. პოლიტიკური სიმჩატე, უკეთესად ვთქვათ, სიჩერჩეტე ბევრს ქართველს თვალს უბამს, აშინებს, საგნისთვის პირდაპირ ვერ შეუხედნია. მაშინ როდესაც სულ ბრმა თუ არაა ადამიანი, არ შეუძლია არ დაინახოს, რომ კაცობრიობაში სწარმოებს უსასტიკესი ბრძოლა ერთა შორის. ევროპის შესვლა წყალობით თითქმის სულ გაქრა წითელ კანიანთა რასა ამერიკაში, ავსტრალიაში მოისპენ ადგილობრივი მცხოვრებნი, აფრიკის ვეებერთელა ქვეყანა ევროპიელებმა დაინაწილეს, მხოლოდ აბაშეთი გადარჩა შემოსეგას, ისიც იმიტომ რომ სასტიკათ დაამარცხა იტალია, ოთხას მილიონიან ინდოეთს ელობს ორმოცმილიონიანი ინგლისი. ბრძოლა რასათა და ერთა არამც თუ არ შეწყვეტილა, დღითიდღე მწვავედება. ეს ბრძოლა ჩვენშიც არსებობს, და როცა ჩვენ რომელიმე ერს შეგვებებით, მასთან ჩვენი დამოკიდებულება მეტად ადვილი გამოსაკვლევი იქნება. თუ მეზობელ ერის და ქართველის ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებიან, თუ საქართველოს და ქართველ ერის აღორძინება მეზობლისთვის არამც თუ მავნე, სასარგებლოა, თუ ჩვენი ინტერესები პარალელურია და არა მოპირდაპირე, ასეთი ერი ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა. ჩვენ არ ვეძებთ კავშირს იქ, სადაც ჩვენი მოპირდაპირეა. ვინც ჩვენ გვსპობს, იმას ვებრძვით, ვინც ჩვენ გვემეზობლება, იმას ვეშობით. აი ჩვენი გზა მეზობლებთან დამოკიდებულებაში.

იგივე პრინციპი სრულიად საკმარისია საშინაო მცხოვრებაშიც. ჩვენ არა ვართ ბიოლოგიურ ქართველთა მოტრფიალე. ჩვენ არ ვიცავთ ყოველ ქართველს, რომელმაც ქართული ენა იცის ან ქართულ გვარს ატარებს. განა ერთი და ორი ჩვენში, რომელსაც ქართული ენა იმისთვის ამოუდგამს, რომ ქართველი ქირდოს, ლანძღოს ამსიროს ან და მიაწოდოს მას შხამი მისი მომწამელელი? განა ერთი და ორი ქართველია, რომელსაც თავისი ნიჭი, თავისი გამჭირაწობა და სიმოცხლე საქართველოს მტერთათვის შეუწირავს? არა, ჩვენ არ ვეტრფით ქართველს მხოლოდ იმისთვის რომ ის ქართველია. ავწონ-დავწონთ ყოველ ქართველის მოქმედებას, მის ეროვნულ მუშაობას. ქართველს სამშობლო ერის ორგულს, მის ინტერესთა წინააღმდეგ მომუშავეს, ვგმობთ, ვებრძვით, ვსდევნით და, თუ საჭირო იქნება, კილვც ვსპობთ.

ქართველი ერი, როგორც ყოველი სხვა ერი, არაა სოციალურათ ერთი მთლიანი ერთეული. მანში წოდებრივი დანაწილება საგარძობელია, კლასობრივიც თანდათან თავს იჩენს. ყოველი წოდება, რომელიც თავის სო-

სიალურ საქმიანობაში ქართველ ერის ინტერესების წინააღმდეგია, უნდა მოისპოს, მას უნდა ვებრძოლოთ, უნდა დავსტეთ ის. პირიქით, ჩვენ უნდა ვიპავდეთ წოდებას თუ კლასს შემომქმედს, რადგან მისი მოქმედება ეროვნული თვალსაზრისით დადებითია. ჩვენ გვყავს თავად—აზნაურობა, წვრილი მესაკუთრე (გლეხი სოფლად, ხელოსანი და წვრილი ვაჭარი ქალაქად), ინტელექტუალური პროფესიის წარმომადგენელი და მუშა.

წარმოიდგინეთ ოჯახი, რომელშიაც სამი ძმაა, ორი გულმოდგინე მშრომელი, ერთი კი სუსტი, სნეული. რა შედეგი მოსდევს ასეთ პირობებს? ორის შრომის ნაყოფს, შემომქმედებას მესამის უსაქმობა უკან სწევს, აქვეითებს და ამით ხელს უშლის მათ წინ წავიდნენ, ამას კიდევ გაუძლებდით, ჩვენი მემამულენი მხოლოდ უსაქმობით რომ კმაყოფილდებოდნენ. უბედურებას ისაა, რომ ისინი საქმიანობენ და საქმიანობენ ისეთი უკულმართი გზით, რომელიც ქართველ ერის არც ერთ მტერს არ შეუძლია. ჩვეულება გვაქვს, ვეძგერებით ერთს—ორს მემამულეს, რომლის მოქმედება მეტად წრეს გადასულია. სწობილი გიორგი ამილახვარი არსებითად ისევე მოქმედობს როგორც ჩვეულებრივ ყველა დიდი მემამულე. მის საქმიანობას მხოლოდ ერთი სახე აქვს—ის კრებს ღალას. ისაა ძველი მონგოლი, უსხო ქვეყანაში შეჭრილი, უსხო მთავრობის მიერ ზურგ გამაგრებული. მას მუდამ მიაქვს ხალხიდან და არაფერს აბრუნებს, ისაა საეროვნო სიმდიდრის მფლანგველი. ფლანგავს ხალხის ნაამაგარს ღალის სახით ალებულს, მამულს დაგირავებით და შემდეგ ალებული ვალი მძიმე ტვირთად აწევს იმავე გლეხს და მასთან ერთად მთელ ქართველ ერს. ისაა საქართველოს ეკონომიური ამკლები. ისაა უპარაზიტისი პარაზიტთა შორის. დაუკვირდით ერთს მოვლენას საქართველოს სხოვრებაში. მემამულეს ჩარჩი მუდამ უკან დასდევს. სადაც მემამულე ძლიერია, სადაც გლეხი უფრო დაჩაგრულია, იქ ჩარჩობაც უმაღლეს წერტილამდე აღწევს. თვით ჩარჩობაც ბინადრობენ დიდი მემამულეების სიხე-კომსებთან. ერთი სახის პარაზიტისმს თან დასდევს მეორე სახის პარაზიტისმს. თავად-აზნაურობა უარყოფითი ეკონომიურად, უარყოფითია ეროვნულადაც. ჩვეულებრივ, ყოველივე უბედურობას, რომელიც ქართველ ერს თავს დასტეხია, გარეგანი მიზეზებით ვხსნით, მაშინ როდესაც უპირველეს ყოვლისა ეს მიზეზები ერის თვით შინაგან სხოვრებაში მოიპოვებიან. და მართლაც ქართველ ერის პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვაში თავად-აზნაურობას უმთავრესი ადკილი ეჭირა. გამრავლებული იმდენად, რომ ქართველ ხალხს აღარ შეეძლო მისი რჩენა, ის ეძებდა ახალ ასპარეზს სათარეშოდ და სარბევად, თავის თავის გასამდიდრებლად. შინ ქართველ ერს მან არაფერი დააკლო. ყიდდა ქართველებს ტყვეებად, მუდამ ომებს მართავდა ერმანეთს შორის და იკლებდა მსხოვრებლებს და რაკი შიგნით ნაცარსვი არ ეყო, გარედ დაეგეშა. და აი მან დაინახა რუსეთი. თავადი ამბობდა, რუსეთი დიდია, ომი ხშირი აქვს, მოდი, იმას მივეკედლოთ, ჩვენც კარგი მეომრები ვართ, ვითარეშოდ და გავმდიდრდეთო. და მართლაც სამშობლოს დასემისათვის ხელის შეწყობაში თავადი თავადს უსწრებს. საქართველოს პოლიტიკური არსებობა განდა მსხვერპლი შინ დამშეულ ფეოდალთა გაუმაძღრობისა. ფეოდალობამ სამათხოვრო ხელი გაუწოდა რუსის მთავრობას, განდა მისი ყმა, წინ წამოუძღვა რუსის ჯარს და აიკლო თავისი სამშობლო; ის განდა იარაღი

ქართველ ერის პოლიტიკური დამონებისა. და რამდენაღ ის ეროვნულად უარყოფითი შეიქნა, იმდენად ზურგს უჩვენებს ქართულ კულტურას, იმდენად ივიწყებს ქართულ ენას, აბუხად იგდებს ქართულ მოქმედებას. სამაგიეროდ, ჩაფრობს, ბოქაულობს, მაზრის უფროსობს, გუბერნატორობს, აფისრობს, გენერლობს, კმაყოფილდება პირადათ და სრესს თავის ერს. ფეოდალობა ერთგული ფინიაა რუსის მთავრობისა. მან გაამტკიცა ეს ფინიაობა და ქართველ ერის ღალატი, ამ ერის ასი წლის მონობა რომ იდღესასწაულა. დღეს ქართველი ერის უბედურებისა, დღეს ჩვენ პოლიტიკურ დასემისა, ამ უდიდესი უბედურების მოგონების დღეს, როცა ყოველი ქართველი ძაძით უნდა შემოსილიყო, თავად-აზნაურობა დაგეშილი ძაღლებივით აედევნა რუსის მთავრობას და მასთან ერთად ნადიმები ნადიმებზე გამართა, რათა საჯაროდ, საქვეყნოდ გამოეცხადებია, მე მონხარული ვარ, მე აღტაცებული ვარ, ქართველმა ერმა დამოუკიდებლობა რომ დაკარგა და უსხო ბარბაროსთა ბატონობის ხელში ჩავარდაო. ამ სამარსხვინო საქციელისთვის მან საჩუქრად მიიღო მსირელი ნახუფრალი, წლიურად ორმოცი ათასი მანეთი. სამაგიეროდ ყოველ წელიწადს უზიდავს ძღვენს რუსეთს ორმოცდაათი ვაყის სახით, რომელნიც ბავშვობიდანვე მომწყვედეულნი რუსის კორპუსებში სრულიად ეკარგებიან სამშობლოს. უბედურო საქართველოვ! როდის დაგიდგება ის დრო, რომ სხვა და სხვა დესპოტებს ადამიანის სახით ძღვენი არ უზიდო? თავად-აზნაურობა უარყოფითია ეკონომიურად, გამხრწნელია სოციალურად, მოღალატეა ეროვნულად. ესაა ერთი დიდი ვეშაპი, რომელიც ქართველ ერს წინ გაღალბებია და ეუბნება: ან მომსვე და თავს უშველე, ან დაიღუპეო! ქართველი ერი დიდი ტანჯვით, მაგრამ მასაც მოინელვებს. არავინ იფიქრას, თითქო ჩვენთვის სასიამოვნო იყოს ასე დახსიათება ჩვენი ფეოდალობისა. სრულიადაც არა, მაგრამ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტეთ საჯაროდ ვაღვიაროთ ყოველივე სენი ქართველი ერისა და შევებრძოლოთ მას. ოპერასია აუცილებელია, იმის იმედის გვაქვს, რომ ჩვენი ძვირფასი ავადმყოფი განკურნებული და გამაგრებული გამოვა ამ ბრძოლიდან. ამასთანავე შევნიშნავთ, რომ ჩვენ საერთოდ ვეხებით წოდებას და სრულიად არ უარყოფთ, პირიქით დიდად ვაფასებთ ამ წოდებიდან კერძო პირთა სამშობლოს წინაშე დიდ ღვაწლსა, არც მსყიდვლობაში გვყავს ის წვრილი აზნაურობა, რომელიც უკვე შეუდგა მამულის დამუშავებას, ვაჭრობას, ხელოსნობას და სხვაგვარ დადებით სოციალურ საქმიანობას.

რაც შეეხება ყოველივე საკუთრებას მოკლებულ ძუშას, პროლეტარს, რომელიც მარტო დღიური ხელფასით ცხოვრობს, ასეთ ადამიანთა რიგში ჩვენში მეტის მეტად მსირედია. მაგრამ მიუხედავად ამისა მუშა ყოველგან მოითხოვს თავისადმი ყურადღებას, თავის ინტერესების დასვენს. ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ის თეორია, თითქო განგებას, ანუ როგორც ამბობენ, ცხოვრების ობექტურს პირობებს მუშა კაცობრიობის დასახსნელად აერჩიოს. ეს იგივე ძველ ებრაელთა შეხედულობაა. მათ ღრმათ სწამდათ, თითქო ერთად ერთი ერი ღვთის მიერ საგანგებოდ არჩეული ყოფილიყოს ებრაელობა, თითქო ღმერთი მხოლოდ მას ესაუბრებოდეს, მას ისავდეს, მას უძღოდეს. პროლეტარებსაც შეუძლიათ ასე იფიქრონ, მაგრამ ეს მათი ფიქრი ისევე უსაფუძვლო ფიქრია, როგორც ებრაელებისა.

რადგან არც ერთი დარგი კასობრიობის შემოქმედებისა, არც მატერიალურ, არც გონებრივ სფეროში ასეთ პირველობას პროლეტარს არ უთმობს. რასაკვირველია, როგორც შემომქმედი, პროლეტარი დიდი მონაწილეა თანამედროვე სხოვრებისა, მაგრამ მისი პრეტენზიაც ამ მონაწილეობით განისაზღვრება. და რამდენადაც მსირედი არ უნდა იყოს პროლეტართა რიცხვი ჩვენში, ყოველი დემოკრატია მოვალეა იზრუნოს მის კეთილდღეობისათვის, მხარი დაუჭიროს მას ეკონომიურ მოთხოვნილებებში, მხოლოდ ისე რომ თვით წარმოება არ დაირღვეს და მსხვერპლად არ შეეწიროს წრეგადასულ მოთხოვნას. ამასთან თუ საერთოდ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა სასარგებლოა მთელი მისი ეკონომიური საქმიანობისათვის, ის აუცილებლივ სასარგებლოა მუშისთვისაც. თუ ეს დამოუკიდებლობა ხელს შეუწყობს ქართველი დემოკრატიის პოლიტიკურ და კულტურულ ამაღლებას, ისევე ხელს შეუწყობს ქართველი მუშის ამაღლებასაც. ქართველი მუშა არსებითად დაინტერესებულია სამშობლოს თავისუფლებაში. და თუ დღეს მისი სახელით სხვები დასძინიან და ამსირებენ ქართველ ერს, თუ სხვები მის ზურგს ამოფარებულნი ქართველ ერს გაქრობას და მოსპობას უმზადებენ, ეს მხოლოდ დროებითია, რადგან მუშას, როგორც ისეთს, ჯერ არ ჰქონია ჩვენში საშვალეა ამ დიდ საკითხს ჩაფიქრებოდა და ღრმა აწონდაწონის შემდეგ გადაეწყვიტა.

დაგვრჩა დიდი უმრავლესობა, ესაა ქართველ ერის დემოკრატია: ხელოსანი, ვაჭარი, სოფლის წვრილი მესაკუთრე. მაგრამ ვიდრე მას შეეცებოდეთ საჭიროა ვთქვათ ორიოდ სიტყვა შუა კლასზე, რომელსაც არ აქვს განსაზღვრული სახე და თავის არსებობაში შეიცავს მრავალგვარ მიდრეკილებას. ესაა ეგრედ წოდებული ინტელიგენცია.

ინტელიგენცია ნიშნავს გონებრივად გავარჯიშებულ ხალხს. შეტდომია ვიფიქროთ, თითქო უმრავლესობა სწავლობდეს სოციალისტებისთვის. არა, სწავლობენ ისე, როგორც ხელოსანი სწავლობს თავის ხელობას. რა ხელობაა ეს ხელობა, რომელსაც ინტელიგენცია ემსახურება? ამ მხრივ ინტელიგენცია მრავალ-ფეროვანია და ამისდა მიხედვით მისი მნიშვნელობაც სხვა და სხვა ნაირია. მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია ამ ნასწავლ ხალხში გამოვინახოთ უმრავლესობა, დიდი უმრავლესობა და მკაფიოდ დავხატოთ მისი საზოგადოებრივი ღირებულება. მოგვხსენებათ, ნასწავლი ხალხი დასავლეთში ათასჯერ მეტია შედარებით, ვიდრე ჩვენში. მაგრამ აქ არავინ ყვირის ამ ხალხზე, და მოქალაქე მეჩქმე არავითარ უფლებას არ დაუთმობს და თავს უფრო დაბლა არ გძნობს რომელიმე ნასწავლთან შედარებით. პირიქით, აქ წინ სდგას ერის შემომქმედი ნაწილი. მოვიყვანთ ორიოდ სიტყვას ფრანგ ბუისისას ამერიკის შესახებ: „ატლანტის გაღმა თქვენ ვერ ჰპოებთ ნასახსაც ჩვენში აღმოუფხვრელ არუმორწმუნოებისა ხელით სამუშაოს წინააღმდეგ. არავინ ფიქრობს, თითქო ის დამამსირებელი ან პატივამხდელი იყოს. პროფესორი, მოსამართლე თავის თავს გონებრივად უმაღლესად არ სთვლის განვითარებულ მუშასა და ქარგალზე. ბიუროში სამსახური კაი ხანია მისი საზოგადოებრივი ღირებულობის მიხედვით დამკვიდრებულია და მაქსიმალურად მისი კვირეული ხელფასი უდრის 50-დან 75 ფრანკამდის, მაშინ როდესაც კალატოზი, ღურგალი იმავე დროს სამუშაოში იღებს 120 ფრანკს. ყოველი ამერიკელის წინ სდგას მშრომელი; ამერიკელი ადამიანს იმის მი-

ხედვით აფასებს, თუ რა შეუძლია მას შექმნას და გაასაღოს, ის უარყოფს იმ შეხედულებას, თითქმის დიპლომატიურად გონებრივ კეთილშობილებას იძლეოდეს“. სულ სხვაა ჩვენში. და აქ ინატება რუსეთის გამათახსირებელი გავლენა ჩვენ სხვებზე. რუსეთი ცენტრალისტური მოხელეთა ქვეყანაა. მოხელე, ერის კაცი თუ სასულიერო განაგებ მთელ რუსეთს, ისაა მთელი ქვეყნის ბატონი. და ისტორიული კანონია, ყოველი ბატონი სდილობს ზნეობრივად და ამტკიცოს თავისი უპირატესობა. სწორედ ამ ნიადაგზე შეიქმნა ის გაზვიადებული წარმოდგენა ნასწავლ ხალხზე, რომელიც რუსეთმა სხვა უბედურობასთან ერთად უძღვნა საქართველოს. დროა ავხადოთ ამ ნასწავლ ხალხს ეს ფარისევლური პირბადე და ჩავაყენოთ ის ნამდვილ კალაპატში. ჩვენი ინტელიგენცია თავის უმრავლესობაში წარმოდგენს მემკმედ ან სათადარიგო ჯარს მოხელეთა. ხოლო მოხელე არის მთავრობის აგენტი, ე. ი. ის არის იარაღი ქართველი ერის დასემისა და განადგურებისა. მისი მავნებლობა ამითაც არ განისაზღვრება. ის არის მორჩილების, ქედის მოხრის, ქვემძრომობის წარმომადგენელი. ეს მისთვის აუცილებლობაა. მაგრამ ის კი არ ამბობს, მე ვქვემძრომობ ჩემი პირადი სარგებლობისთვისო, არა, ის ხალხის წარმომადგენლობას ჩემულობს და ხალხს ეუბნება, მე შენთვის ვზრუნავ, ვქვემძრომობ შენი გულისთვისო, შენც ჩემთან იყავი, გვერდში ამომიდექი, ესაა შენი ხნის ერთად ერთი გზაო. სწორედ რომ დიდი უბედურობაა ეს მოვლენა ქართველი ერისთვის. მისი ნასწავლი ნაწილი ისეთი ბუნებისაა, რომ ვერ იკმაყოფილებს თავის ინტერესებს ქართველ ერის შინაგან სხვებზე და შესამად იქცევა თავის სამშობლოს არსებობისთვის. ჩვენ ნასწავლ ხალხს მეორე ნაკლი, ასე ვთქვათ, მემკვიდრეობითი ნაკლი აქვს. ის უმრავლესად თავად-აზნაურულია, ე. ი. ისეთი წრიდანაა, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უსაქმურობა, უილაჯობა და საზოგადოებრივი სიმჩატე. ასე რომ დიდი უმრავლესობა ჩვენი ნასწავლ ხალხისა სწეულია მემკვიდრეობით, ეროვნულ—უარყოფითია თავისი სოციალური საქმიანობით.

ამ გვარად ქართველ ერს მეორე დიდი საკითხი დაუყენა დღევანდელმა ინტელიგენციამ: იძულებული ვარ შენ წინააღმდეგ ვიმოქმედო, შევრყენა შენი ენა, შევრყენა შენი პოლიტიკური სოფლმხედველობა, შენი ზნე—ჩვეულება, შენი კულტურა. გინდა გემსახურო? შესვალე ის პირობები, რომელიც მაიძულებს ასე მოვიქცე, შექმენი შენი საკუთარი პოლიტიკური სხვებზე, შექმენი საკუთარი აღზრდის სისტემა, შეგუებული შენს კულტურასთან და ისტორიასთან და მეც შენთან ვიქნებიო. დღევანდელი ნასწავლი ხალხი თავის უმრავლესობით ქართველ ერს უპირდაპირდება. საჭიროა შევიგნოთ ეს. საჭიროა ქართველი ერი ებრძოდეს მას, ვინც მის წინააღმდეგ მიდის. ბრძოლა მაშინაა ნაყოფიერი, ნამდვილი, როცა ის შემოქმედებითა, ე. ი. თქვენ ქმნით და ამით არღვევთ წინააღმდეგ მომართულ ძალას. შემოქმედება ქართველ ერისა უნდა გამოიხატოს საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოპოებაში. და რამდენადაც ქართველი ერი საკუთარ პოლიტიკურ სხვებზე შექმნის, იმდენად მისი ნასწავლი შვილებიც მის ეროვნულ ფარგალში ჩადგებიან. დღეს მოპირდაპირნი და უარყოფნი ქართველი ერისა, მაშინ მისი ერთგული მოსამსახურენი იქნებიან. უმადური ვიქნებით სავსებით ხელი ვკრათ ქართველ ნასწავლ ხალხს.

დღითი დღე ნასწავლთა რიცხვში შედის დემოკრატიული ნაწილი. ბევრი აქედან ითქვიფება ახნაურულ—მოხელეურ ინტელიგენციაში, მაგრამ ბევრი ვერ შორდება თავის წარმომშობ ხალხს, ზიზლით შეიარაღებული მჩაგვრელთა მიმართ ის ჩაგრულთა წრეში დგება და მასთან ერთად ეწევა მძიმე ეროვნულ საქმიანობას. ის ლიტერატორობს, მაგრამ ლიტერატორობა მისთვის არ არის ორპირიანობა, ის არაა ქართველ ერის მტერთა სამსახურში და ჩუმად ლექსებს კი არ სწერს, არა, მისთვის ლიტერატორობა უარყოფაა პირად ბედნიერებისა, ტანჯვა, ტანჯვა თავის სამშობლოსთვის. ის ჩარეულია ხალხის ეკონომიურ შემოქმედებაში და გადააქვს ხალხში სოდნა სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო, აწყობს კოოპერაციებს, სახალხო კრედიტს, იბრძვის ქართველ ერის პოლიტიკურ უფლებისათვის, ის ხალხთან ერთად მუშაობს, ის არსებითად ეროვნულია. და თუ ჯერ—ჯერობით მისი ძალა და მნიშვნელობა სუსტია, თუ მასთან მისი პოლიტიკური შეგნებას მოკლებულია ჯეროვან სიღრმავეს, ეს აიხსნება იმით, რომ მას არ აქვს საკმარისი მომზადება შეგუებული ჩვენს ეროვნულ—ეკონომიურ და პოლიტიკურ სხოვრებასთან.

დაგვრჩა ქართული ერის დიდი უმრავლესობა, მთელი დემოკრატიული საქართველო. ესაა წვრილი მესაკუთრე სოფლად და ქალაქად სხვადასხვა სახით. მას ჩვენ ვუწოდებთ დამოუკიდებელ მწარმოებელს. დამოუკიდებელი მწარმოებელი ის ადამიანია, რომელიც თავს ისე იკვება, რომ არს ქირაობს დღიურ მუშას, არს თვითონ მიდის საქირაოდ. შეიძლება ის ძალიან ვერ გამდიდრდეს, მაგრამ მას ვერს იმას დასწამებთ—სხვისი შრომით მდიდრდებიო. ყოველი დემოკრატიის საფუძველი ყოველ ქვეყანაში, ყოველ ერში სწორედ ეს დამოუკიდებელი მწარმოებელია.

ჩვენ ვიბავთ წვრილ საკუთრებას სასოფლო მეურნეობაში, როგორც ერთად ერთს თანამედროვე წინსვლით სახეს ინტენსიურ მეურნეობისა და როგორც საფუძველს ჩვენი ერისა. ჩვენ არა ვართ კერძო საკუთრების ზეპირი მალმერთებელი. როგორც კერძო, ისე საზოგადო საკუთრება ისტორიული მოვლენაა და მას აქვს მხოლოდ შედარებითი ღირებულება. ჩვენ უნდა მივემხროთ იმ სახეს საკუთრებისას, რომელიც ახორციელებს მაქსიმუმს ეროვნულ შემოქმედებისას. იყო დრო, როცა საზოგადო საკუთრება არსებობდა. ეს იყო ის პირველყოფილი ხანა, რომელსაც ასე ზღაპრულად ასწერს ბევრი უსაქმო უტოპისტი და ამავე დროს ივიწყებს, რომ ეს იყო დრო უკიდურესი ბარბაროსობისა, როცა ადამიანი ადამიანზე ნადირობდა და მაღიანად შეექცეოდა მის ხორცს. წვრილ კერძო საკუთრებას ჩვენ იმიტომ ვიბავთ რომ ის დღეს პოლიტიკურად ეთანაბრება არა დესპოტიას, არა ოლიგარქიას, არა სენტრალისტურ მანქანას, არამედ დემოკრატიას, რომელიც იძლევა მაქსიმუმს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შემოქმედებისას. ის პროგრესულია ეკონომიურადაც. წინასწარ ჩვენ აღვნიშნავთ ერთს მეტად საგულისხმებრო მოვლენას. ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში წვრილ საკუთრებათა რაოდენობა სასოფლო მეურნეობაში მრავლდება, ხოლო სხვილ საკუთრებათა სივრცე და რიცხვი მსირდება. რამდენად სოფლის მეურნეობა მაღალ საფეხურზე ადის, იმდენად დიდი მამულები ირღვევა და წვრილი საკუთრება იკიდებს ფეხს. მაშ აშკარაა, წვრილი საკუთრება მეურნეობაში პროგრესია. რატომაო, იკითხავთ თქვენ. ყოველი ფორმა

მეურნეობისა მაშინ სოცხლობს და წინ მიდის, როცა მას შეუძლია სავსებით ისარგებლოს მეცნიერებით. თუ თქვენი ეკონომიური საქმიანობა ვერ ისარგებლობს საერთო ტექნიკური წინსვლით, ის ამით უკვე სასიკვდილო ბოძზეა გაკრული. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, თითქო წარმოებაში ადამიანის გრძნობასაც არ ქონდეს მნიშვნელობა. რამდენადაც მუშა სიყვარულით ეპყრობა თავის საქმეს, იმდენადაც მისი შრომა ნაყოფიერია. ეს ორი ელემენტი ტექნიკა და მშრომელის სიყვარული საოცრად გარმონიულად ერთდება წვრილ სასოფლო მეურნეობაში.

მეურნეობა ყოველთვის დამყარებულია ადგილობრივ ჰავის პირობებზე. აქ ადამიანის გავლენა განსაზღვრულია. აშკარაა, ვაზს ვერ მოიყვან პალუსზე. საქართველოს ბუნება შექმნილია მაღალ კულტურის მეურნეობისთვის. პური და სიმინდი თუ მოყავს ქართველს, ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენი მეურნეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. ჩვენი მეტად ნაზი ბუნება საშვალეებს გვაძლევს პურეულის მოყვანა დაფუძნებით სხვა ქვეყნებს, სადაც თვალუწვდნელი ეწრები სხვა კულტურისათვის უვარგისია. ჩვენ უნდა მოგვყავდეს ღვინო, ხილი, აბრეშუმი, ბამბა, თერმონია და სხვა მაღალ კულტურის ნაყოფი. ხოლო ზემოხსენებული კულტურა ისეთია, რომ აქ ადამიანის სიყვარულს, ადამიანის გარჯას, მის გულის ყურს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ისარგებლეთ ყველა ტექნიკურ საშვალეებით და ზედ დაურთეთ ადამიანის შემოქმედებითი სული. აი სწორედ აქ მიიღებთ შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმს. და თუ წვრილ საკუთრებას მოუწყობთ შემქნ და გამსაღებელ ამხანაგობებს, სამეურნეო კრედიტს, თქვენ სრულიად უზრუნველყოფილი იქნებით.

პროგრესიული ეკონომიური მხრით, პროგრესულია ეროვნული მხრითაც. ერის ქონებრივი ამალგება ერთი ძირითადი საფუძველთაგანია მისი საერთო ამალგებისა. ამასთან ტერიტორიალური საკითხი ქართველ ერისთვის არის არსებობის საკითხი. ერთად-ერთი ელემენტი, რომელიც ამ ტერიტორიას მაგრად ჩასჭიდებია, არის ქართველი წვრილი მესაკუთრე. სადაც ის ზის, იქ ქართველი ერი უზრუნველყოფილია. სადაც სხვილი მემამულე თარეშობს, იქაც თუ ვინმე მიდის, ეს წვრილი მესაკუთრეა. აქ აშკარაა, ვინ უნდა გაამხნეოთ, ვის უნდა მიეკედლოს ყოველი ქართველი, რომელსაც სურს თავის სამშობლოს, თავის ერს, ერს დემოკრატიულს ემსახუროს.

წვრილი საკუთრების ფორმა სასოფლო მეურნეობაში არამც თუ ხელს არ უშლის, არამედ პირდაპირ აუცილებლად თავის განვითარებისათვის მოითხოვს — ისეთი დარგი, რომელსაც საერთო მნიშვნელობა აქვს, საერთო საკუთრებად იქმნას აღიარებული, ასეთია ტყე, საბალახო, მიმოსვლის საშვალეება, საერთო მნიშვნელობის წარმოება, როგორც ელექტრონი და სხვა.

ხელოსნობა ქართველ ერში დასაბამიდანვე იყო განვითარებული. მართალია, მეცხრამეტე საუკუნე ჩვენი ხელოსნობისთვის მეტად უკუღმართი გამოდგა, მაგრამ მაინც ხალხი თან-და-თან ღონიერდება და ხელოსნობა ისევ ფეხზე დგება. აქვე შევნიშნავთ, რომ ის ვეშაპი, რომელსაც სამრეწველო კონცენტრაციის კანონს უწოდებენ და რომელიც ბევრ ჩვენ უსაქმურ ინტელიგენტისთვის სიმბოლოდ სარწმუნოებისა გარდაიქცა, რომელსაც უნდა ჩაენთქა წვრილი წარმოება, ევროპის სხვებთან უარყო, ის მართალი არ გა-

მოდგა. მით უფრო არ აქვს და არც ექნება მას ადვილი ჩვენში, წვრილ საკუთრების ქვეყანაში. პროგრესი ტენიკის ენაზე ნიშნავს სოცხალ ძალის მაგიერ მკვდარი ძალის გამოყენებას. რამდენად ადამიანის მაგიერ ჩვენ-მანქანას ვამუშავებთ, იმდენად წარმოება პროგრესიულია. წინეთ, როცა მანქანათა მამოძრავებელ ძალად მარტო ორთქლი იყო, ბუნებრივი იყო დიდი ქარხნების დაარსება, წარმოების ერთ ჭერის ქვეშ თავის მოყრა, რადგან ორთქლის ძალის სივრცეზე გადასემა არ შეიძლება. მაგრამ აი გაჩნდა ელექტრონი, მასთან ერთად ტენიკამ ელექტრონის ძალის შესაძენად მდინარეთა ძალაც გამოიყენა. ელექტრონის ენერჯის გადასემა შეგიძლიათ ძალიან შორს, მდინარე გაწვდით მუქთ ძალას. თუ საქართველოს მდინარენი ურგებნი არიან როგორც სანაგოსნო ან სათევზაო საშვალეზანი, სამაგიეროთ ქვეყნიერებაზე არ მოიპოვება იმდენი ძალა „თეთრი ნახშირისა,“ როგორც მას ევროპაში უწოდებენ, რამდენიც ჩვენშია. საკმარისია ქართველმა ერმა გამოიყენოს სამი-ოთხი მდინარე, რომ ყოველ ოჯახს, ისე როგორც შვეიცარიაში, სახლში ჰქონდეს ელექტრონის ენერჯია, რამდენიც მას მოუწდება. მაშინ ხელოსნობაც სულ სხვა ფორმას იღებს. მაშინ სახლში, ვთქვათ, აბრეშუმის და შალის დამუშავება ტენიკურადაც მალალ წერტილზე სდგას და იმავე დროს ეროვნულ კულტურასაც ემსახურება და სრულიად არ მოითხოვს იმ გაპროლეტარებას, რომელსაც ჩვენში ასე ბევრი მოტრფიალე ყავს. ქართული ხელოსნობის გაძლიერება ნიშნავს ქართველი ერის, ქართველი დემოკრატიის გაღონიერებას, ზრუნვა მისთვის არის ზრუნვა სამშობლოს აყვავებისათვის. ხელოსანი შემომქმედია და როგორც ასეთი, ძვირფასი წევრია იმ ქართული დემოკრატიისა, რომელიც იცავს, აწვითარებს ქართულ საქმიანობას, იბრძვის ქართველი ერისთვის და ქმნის მის მომავლს. ხელოსანი ქალაქადაც არის და სოფლადაც.

შეგვხვოთ საკუთრივ ქალაქს. ჩვენი ქალაქები ჯერ—ჯერობით სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენენ. ისტორიულმა ბედმა ჩვენში ვაჭრობა სხვა ერთა ხელში ჩააგდო და ამით ქართველი ერი დიდ ხიფათში ჩააყენა. ჩვენთვის დღეს ცხადზედ—უცხადესია, როცა ქართველ ერის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას განსაძდელის დღე დაადგა, საქართველოს ქალაქები ქართველთა ხელში რომ ყოფილიყო და არა უცხო ერთა, რომელნიც არამც თუ არ ცდილობდენ თავზედ ფეოდალობის ალაგმვას, არამედ ხელს უწყობდენ საქართველოს დასემას, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ისეთი არ იქნებოდა. ეს კარგად ესმოდა დიდებულ პოლიტიკოსს სოლომონ ლეონიძეს, რომელიც იზიდავდა იმერეთიდან ხელოსნებს თბილისისაკენ და ცდილობდა დედა-ქალაქში ქართველ ვაჭრების და ხელოსნების გამრავლება—გაძლიერებას. ეს საკითხი დღესაც ვერაა გადაჭრილი. ჩვენთვის ნათელია თუ ქართველი ერი ქალაქში ვერ გამაგრდა, ის მოსპობილია, ის მუდამ სხვისი მონა და მოსამსახურე უნდა იყოს, ის უნდა იყოს მონა პოლიტიკური, მონა ეკონომიური, მონა კულტურული. ბევრი უმეცარი გაიძახის, თითქო ქართული კულტურა მეტად სუსტი იყოს. ეს საზიხლარი ტყუილია. ქართველი მშვენიერი მეურნე და მოსაქმეა, ხშირად მისი ნახელავი დაწინაურებულ ქვეყნების ნაწარმოებსაც არ ჩამოუვარდება. მაგრამ მისი უბედურება ისაა, რომ ქართველი უმთავრესად მწარმოებელია, მწარმოებელი კი დღევანდელ პირობებში გამსაღებლის მონაა. შუამავალი მწარმოებელ-

სა და მომხმარებელს შორის ბატონობს ორივეზე. ყველგან პირველს ყიდვის დროს, ყველგან მეორეს გაყიდვის დროს. და სწორედ ეს შუამავალი უცხოა ჩვენში. ის მდიდრდება, მაგრად იკიდებს ფეხს ქალაქ ადგილს, ამიტაც არ კმაყოფილდება, სოფლადაც გადადის და ხელში იგდებს ქართველების მამულებს. ის გაბატონებული ქალაქად, სდილობს გაბატონდეს სოფლად. გაღონიერებული პიროვნულად ღონიერდება სოციალურად და მოქმედებს ქართველი ერის არსებობის წინააღმდეგ. რასაკვირველია, უპირველესი ჩვენი ცდაა სრულიად მოვსპოთ შუამავალი, რისთვისაც ვაარსებთ გამსაღებელ ამხანაგობებს, მომხმარებელ კოოპერაციებს, მაგრამ ჩვენ იმავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ვაჭრის საზოგადოებრივი ფუნქცია ჯერ კიდევ დიდ სიძაბვის ძალას შეიცავს. ამ შემთხვევაში მთელი ჩვენი ყურადღება ქართველ ვაჭრისკენ უნდა იყოს, მით უმეტეს როცა ის წვრილი ვაჭარია. მას უნდა შეუწყოთ ხელი, მოუწყოთ კრედიტი, მოუწყოთ საქონლის საზოგადო საწყობი. ქართველი წვრილი ვაჭარი დემოკრატია და ქართველ ხელოსანთან ერთად ძლიერი ეროვნული ელემენტია ქალაქად. ქალაქად ქართველობის გაძლიერება არა მარტო ეკონომიური საკითხია. ქალაქად ქართველების გაძლიერება ნიშნავს ჩვენს ყოველმხრივ გაძლიერებას. აქ თავს იყრიან კონებრივი კულტურის წარმომადგენელნი. აქა მწერალი, მგოსანი, პუბლიცისტი, მხატვარი, არტისტი, მწიგნობარი, მეცნიერი, პოლიტიკოსი. აქა აზრთა დუღილი და შეჯახება. აქ გვესაჭიროება ჩვენ ის სოციალური არე, რომელიც ინდივიდუალურ შემოქმედებას ასახრდობს და ისტორიულ ეროვნულ ფარგალში ამუშავებს. ამიტომაც ქალაქი ის სიხეა, ურომლისოდაც ქართველ ერს წინსვლა არ შეეძლება. ეს დიდი ხანია იგრძნო ქართველმა ერმა. ამ გრძნობას სოლომონ ლეონიძე განსაზღვრულ პოლიტიკურ გამოხატვას აძლევს. ასი წლის განმავლობაში ქართველი ერი უკვე პოლიტიკურად დამონებული, მიუხედავად აუტანელ პირობებისა, განაგრძობს ლეონიძის გზას. საქართველოს ქალაქები თანდათან ქართულ სახეს იღებს. საჭიროა ამ მიდრეკილებას მიეცეს სისტემა, ის გაძლიერდეს. ქართველი დემოკრატია ძლიერი სოფლად და ქალაქად, შრომა სისტემატიური და აწონ-დაწონილი — აი რა უნდა გვაფიქრებდეს ჩვენ.

ამგვარად ჩვენ გავითვალისწინეთ ჩვენი ერის შინაგანი შემადგენლობა, გავითვალისწინეთ ქართველ ერის სხვადასხვა წოდებათა ეროვნული ღირებულება. საკაცობრიო ისტორიას თვალი რომ გადავავლოთ, დავინახავთ, რომ ერი შიგნით წოდებებად გინდ კლასებად დაყოფილი ერთსულოვნურ იქცევა გარეშე მტრის მოგერებაში. როცა სამშობლოს განსაცდელი მოვლის, მაშინ თავადი, გლეხი, მუშა — ყველა ერთდება და საერთო ძალით იცავს სამშობლოს. როცა გერმანია საფრანგეთს დაეცა, მას წინ დაუხვდა არა ფრანგთა წოდებანი, არამედ მთელი საფრანგეთი; ასევე დაუპირდაპირდა უნგრეთი ავსტრიას. ასეა ყოველგან, ესაა ისტორიის საზოგადო კანონი. მაგრამ საუბედუროდ ამ კანონს მხოლოდ ჩვენში არ აქვს გასავალი. შავი რაზმი, რომელიც ქართლის თავად-აზნაურობამ შექმნა და რომელსაც საქართველოს დანარჩენი თავად-აზნაურობის შურის თვალით უტკეროდენ, ეს შავი წეტრილია ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაში. წოდება, რომელიც წლითი წლობამდე, შეიძლება, საუკუნოებითაც სამშობლოს წინააღმდეგ მოქმედებს, ვერც დღეს მოიშლის თავის დუხტირ გზას. ქართველ ერის უმრავლესობა

წვრილი მესაკუთრე, დემოკრატია, აი ვინაა დღეს ქართველ ერის შემოქმედების და წინსვლელობის მატარებელი, ამ დემოკრატიის გამავრება ეკონომიურად, გაძლიერება იდეურად — აი რაა ჩვენი მიზანი. ეგ მიზანი სრულიად ეთანაბრება ჩვენს ეროვნულ იდეალს, რომელსაც ჰქმნის მხოლოდ კლასი შემომქმედი, ეროვნულ თვითარსებობის და ხალხის, დემოკრატიის ინტერესების დასვა აი რაა ჩვენ დროშაზე დაწერილი.

მიზნის მიხედვით ჩვენ თვალწინ იხატება მთელი სისტემა საშვალეობათა, რომელთა შემწეობით დემოკრატიული საქათრველო მიაღწევს თავის დამოუკიდებლობას. ამ საშვალეობათა შესახებ ჩვენ შემდეგში გვექნება ლაპარაკი. მხოლოდ ერთს შევნიშნავთ აქვე. არც ერთს ერს არ შეუძლია არც განთავისუფლება, არც თავის დასვა, თუ ის მზად არ არის იარაღით ხელში აღდგეს, როგორც მტრის უღელის მოხაშორებლადი სე თავის პიროვნების დასაპველად. მეორე, ქართველი ერი ისტორიულად იგერიებს მზე მოსულ მტერთ. მისი ეროვნული ბრძოლა მხოლოდ თავის დასვაა. ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლა ყოფილა და იქნება მუდამ უმშვენიერესი ფურცელი კამობრიობის ისტორიისა. ჩვენ ვემზადებით ამ ხაერთო მოქმედებისათვის სამშობლოს დასაპველად. ამავ დროს ვიმუშავებთ მთელ სისტემას, რათა შევავაჭვიროთ შემომქმედი საქათრველო.

შეშორებელი საჭაკთველო, ჭაკთველი დემოკრატია ეროვნულ განთავისუფლების გზაზე მომუშავე, ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი — აი ვის მივზაკთავთ ჩვენ.

დამოუკიდებელი, დემოკრატიული საჭაკთველო, საჭაკთველო დემოკრატიული კონსტრუქცია — აი ჩვენი მიზანი.

ჭაკთველი ერი და საჭაკთველო ტერიტორია.

ჩვენ ზევით ვამოვარკვიეთ ჩვენი ძირითადი აზრი. ესაა ქართველი ერის განთავისუფლება, დამოუკიდებელ საქათრველოს აღდგენა. ეს რთული საკითხი თავისთავად ნაწილდება მრავალ საკითხად, რომელთაც ჩვენ პალ-პალკე განვიხილავთ. ჩვენი აზრით, ქართველი ერის არსებობა პირდაპირ შეკავშირებულია ქართველ ერის სახელმწიფო ერად გადაქცევასთან. აღადგენს საქათრველო თავის საკუთარ სახელმწიფოს, ესე იგი მოიპოპოვებს ის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, — ქართველ ერის განთავისუფლება და წინსვლა უზრუნველყოფილია. თუ ვერ აღადგენს, ის აუპილებლივ გადაშენდება, დაირღვევა და გაქრება, ხოლო ტერიტორია ამ შემთხვევაში არის ძირითადი საფუძველი, გამოაპალეთ ქართველ ერს საქათრველოს ტერიტორია — ის უკვე მოსპობილია. შეიძლება, თქვენ მიპასუხოთ, აი არსებობენ უტერიტორიო ერებიო და დასახელოთ ებრაელები და სომხები. მართალია, ეს ერები არსებობენ, მაგრამ ვაი ასეთ არსებობას. გაპნეულნი მთელ დედამიწის ზურგზე, ისინი ყოველგან უტხონი არიან და ვერსად თავისი ეროვნული შემოქმედება ვერ გაუშლიათ. მასთან თუ მათ დღემდისაც მიაღწიეს, ეს იმტიომ რომ ისტორიულ მსვლელობაში

ისინი ისეთ პირობებში მოხვდნენ, რომ ყოველი ხალხი მათ მტრულად ეპყრობოდა, ყოველ ხალხს ისინი ეჯავრებოდა. სიძულვილი კი ამ შემთხვევაში იყო საფარის ფაქტორი, რომელიც ამ ერებს ისაგდა სხვა ერთა შორის აზოვისაგან. მაგრამ რამდენადაც სხვა ერები მათ ურიგდებიან, რამდენადაც ისპობა მათდამი სიძულვილი და ისინი სრულ მოქალაქობრივ თავისუფლებას იძენენ და ადგილობრივ მსხვირებთ უფლება-მოვალეობით უსწორდებიან, იმდენად ისინიც ერევიან ამ ერებში, ზოგი სულ კარგავს თავის ეროვნულ სახეს და საცნობით უერთდება უსხვა ერს, ზოგს კი რჩება მხოლოდ სარწმუნოებრივი თავისებურობა, აბა, გამოიძინით შვეიცარიაში, გინდ ინგლისში, ამერიკაში, ვინა ებრაელი და ვინ არა. ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ებრაელებს დღემდისაც ასე თუ ისე დაუძავთ თავისი სახე, მათ მეტად დიდი ეროვნული კულტურა აქვთ, კულტურა სარწმუნოებრივი დულაბით შედუღებული და ათასი, არი ათასი წლის წინედ გამაგრებული თანამედროვე ერების ასპარეზზე გამოსვლამდის. საგულისხმიერო ჩვენთვის სწორედ ისაა, რომ ებრაელთა ერის ის ნაწილი, რომელმაც მოხნად დაისხა ალადგინოს კავშირი ძველ ებრაელურ ენასა და კულტურასთან, ალადგინოს ებრაელთა ერი, დარწმუნდა, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ებრაელობა დაუბრუნდება იმ ტერიტორიას, სადაც შეიქმნა მისი ისტორია, აქედან პოლიტიკური მიმართულება, რომელსაც ჰქვია სახელად სიონიზმი. დიდი ხანი არაა, რაც სიონიზმი დაიბადა, მაგრამ უკვე ნაყოფი მოიტანა, ებრაელებმა შექმნეს ეროვნული ფონდი, დაარსეს ბანკები და შეუდგნენ პალესტინაში მამულების შექმნას. მოაწყვეს უკვე იქ არას ათასამდე ებრაელი, გახსნეს დაბალი საზოგადო და სამრეწველო სასწავლებლები, დაარსეს გიმნაზია, ამ მოკლე დროში გახსნიან პოლიტექნიკუსს. და ყველა ამ სასწავლებელში სწავლება იქნება ძველ ებრაულ ენის შემწეობით. ებრაელობა, როგორც გაფანტული ერი, ინთქება სხვა ერებში ებრაელობა, როგორც ერი, მოცხლდება თავის ისტორიულ ტერიტორიაზე დაბრუნებული.

თუ ის ერიც კი, რომელიც არი ათას წელზე მეტია, გაფანტულა დედამიწის ზურგზე, თავის ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას პოვებს საკუთარ ისტორიულ ტერიტორიის დაბრუნებაში, რაღა გვეთქმის ჩვენ — ერს, რომელიც ჯერ კიდევ თითქმის სრულიად მიწადმოქმედია, რომელსაც აქვს განსაზღვრული ტერიტორია? ქართველი ერი და საქართველოს ტერიტორია ურთიერთისაგან განუყოფელია.

ქართველ ერს ბევრი იერიში აუტანია, მაგრამ ისეთს, როგორც მან რუსმა მიიუტანა, არას დროს არ მოსწოვებია. რუსის მთავრობა კარგად ხედავდა, რომ სახელმთფოებრივობა ქართველ ერში ძლიერია, რომ ის ასე ადვილად არ დასთმობს და არ მოინდომებს თავის პიროვნებაზე ხელი აიღოს. ამიტომ მან პირველ დღიდანვე იერიში მოიტანა ჩვენი ეროვნული არსებობის საფუძველზე. ჯერ კიდევ კარგად შემოსულის არ იყო, რომ შემოგვისია გერმანელი გადმოსახლებულნი, ჩამოართვა ქართველებს მამულები და დაურიგა მათ იმდენი, რომ გერმანელი დღესაც დიდი მემამულეა. ზედ მოაყოლა რუსის ახალშენები, და აქედან იწყება სახელმწიფოებრივი სისტემატიური ბრძოლა ქართველთა წინააღმდეგ მიწა-წყლის ნიადაგზე, ჩვენ აქ ვერ შეუდგებით მოელი ამ სისტემის გამორკ-

ვევას. უმძლავრესი საშვალეობა ქართველ ერის ქონებრივ დასემისა იყო საქართველოს მიწა-წყლის სადავოდ გამოცხადება. ეს დავა, როგორც მოგვხსენებთ, აჯერაპ არ დასრულებულა და როგორ აჩანავებს და ლუბავს ის ქართველობას, ამასაც ვინც ბრმა არ არის, კარგად უნდა ხედავდეს. მეორე საშვალეობა იყო ქართველობის სამშობლოდან ძალით არეკა. ეს ბარბაროსული საშვალეობა მარტო რუსის მთავრობას შეეძლო ეხმარა. და მართლაც მან გარეკა ყირიმის კუნძულიდან თათრობა, გარეკა შვიდასი ათასი ჩერქეზი ჩრდილო კავკასიიდან, გარეკა ნახევარ მილიონზე მეტი მაჰმადიანი ქართველობა მესხეთიდან და მათ აღვიღებ დაასახლა სომხობა, რომელმაც ასეთი დიდი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკურ დასემში. მესამე დიდი საშვალეობა არის სისტემატიური გადმოსახლება და ამ საშვალეობის ორგანოთა შექმნა, როგორც არის გადმოსახლების კომისია, სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკები. აქ თქვენ ერთი მხრით ხედავთ მწყობრ სახელმწიფოებრივ სისტემას, მიმართულს ქართველ ერის ტერიტორიის წინააღმდეგ, მეორე მხრით კი ერს უფლება აყრილს, დევნილს, დამონებულს. საქართველოს ტერიტორიას სხვა მტრებიც უხვად ყავს. განსაკუთრებულ როლს ამ შემთხვევაში თამაშობს სომხობა. იმ ერთა შორის, რომლებთან ქართველობას რაიმე დამოკიდებულება აქვს, სომეხი ყველაზე უფრო მალა უნდა დავაყენოთ პრაქტიკული საქმიანობის ნიჭით, როგორც კერძო, ისე ეროვნულ საქმეშიაც. სომეხი სოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს. დიდი ხნის ვაჭრულმა ვარჯიშობამ ის ბუნებრივ დიპლომატად გახადა, რომელსაც, ტალიერანის დახასიათებით, ენა იმისთვის აქვს, რომ თავისი აზრები დამალოს. და აი ეკონომიურად გაღონიერებული სომეხი საკუთარი ეროვნული სარწმუნოებით, რომლის ორგანიზაცია წარმოადგენს ერთნაირ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წყობილებას, საკუთარი ეროვნული სკოლით და სხვა ეროვნული მოწყობილებით, ძლიერი ეროვნული შეგნებით, თავისუფალი უსაქმურ წოდებისაგან, რაც დრო მიდის, იმდენად აძლიერებს თავის ეროვნულ საქმიანობას. განსაკუთრებით ის სდილობს ქართველთა ნაპარტახეზე მაგრად მოიკიდოს ფეხი და კიდევ საგრძობელად აღწევს მიზანს. ბორჩალოს მაზრის, თბილისის მაზრის და სხვა ადგილების ლატიფუნდიები ერთი მეორეზე სომეხთა ხელში გადადის. და ეს გადასვლა არ არის უბრალო ყიდვა-გაყიდვის საქმე. სომეხ მესაკუთრეს თან მისდევს სომეხი მუშა, სომეხი გლეხი და ამ გვარად პროცესი ეროვნულ ექსპროპრიაციად იქცევა. მყვირალა ქართველთ არ უყვართ ასეთ საკითხების შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ეხლა მაინც დროა ამ მყვირალა უსაქმურთ ბურთი პირში ჩავსჩაოთ და საქმეს პირდაპირ შევხედოთ. ასე საქართველოს ტერიტორიას მოადგა ყოველ მხრივ სხვადასხვა ხალხი და ლამობს ის ხელში ჩაიგდოს, ქართველობა გააბოგანოს და ამით სულ აღგავოს დედამიწის ზურგიდან. ქართველმა ერმა უნდა დაიცვას თავისი თავი, მან უნდა იბრძოდოს თავისი მიწა-წყლისათვის, როგორც უბრძოლია დასაბამიდანვე. და აი ის აცხადებს: **საქართველომ ტერიტორია ქართველ ერს.**

ესაა პრინციპი, რომელიც მას ხელმძღვანელობას გაუწევს გარეშე ძალთა წინააღმდეგ, ესაა პრინციპი, რომელიც მას გზას გაუკვლევს შინაურ საქმიანობაში. რა საკვირველია, ერთად ერთი საშვალეობა ნამდვილი, უტყუ-

არი, რომ ქართველმა ერმა თავისი მიწა-წყალი შეინარჩუნოს, არის საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა. ტერიტორიას ფლობს ის, ვინც სუვერენია ამ ტერიტორიაზე, ვისაც შეუძლია განსაზღვრულ სახელმწიფოებრივი საქმიანობით მოსული მოიგეროს და შინაც მსხვრებთა ურთიერთობა მოაწესრიგოს. თუ ქართველ ერს ეს სუვერენობა დროებით წაერთვა, მან უნდა დაიბრუნოს წართმეული და თავის სახლში სხვას ხელი არ აფათურებდეს. დაკარგულის დაბრუნება მოითხოვს სისტემატიურ ბრძოლას. ეს ბრძოლა იქნება საერთო პოლიტიკური ხასიათის. მაგრამ თუ ერთი მხრით ჩვენ ვებრძვიტ ყოველივე გარეშე ძალას და ვიცავთ სამშობლო მიწა-წყალს, მეორე მხრით ჩვენ მოვალე ვართ შინაც მივიხედმოვიხედოთ. ჩვენ ვიცავთ კერძო საკუთრებას. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ კერძო საკუთრებას არავითარი საზღვარი არ ჰქონდეს. ყოველი საზოგადოებრივი დაწესებულება განისაზღვრება მისი სარგებლობით საერთო ერთეულის წინაშე. კერძო საკუთრებასაც იმდენად ვიცავთ, რამდენადაც ის ხელს უწყობს ქართველი ერის ეკონომიურ-სოციალურ და პოლიტიკურ აღდგენას. თქვენ რომ მესაკუთრე ხართ, ეს კი არ ნიშნავს, რომ თქვენ მხოლოდ უფლება გქონდეთ და არავითარი მოვალეობა, ეს კი არ ნიშნავს, რომ თქვენ თქვენი საკუთრება, როგორც გნებავდეთ, ისე მოიხმართ, ერთ ღამეს გაფლანგოთ, ან რუსის საგლეხო ბანკს მიჰყიდოთ და ამით ხელი მოუშართოთ ჩვენში რუსთა ჩამოთესვლას და ქართველთა შევიწროებას, ეს არც იმას ნიშნავს, რომ თქვენ უფლება გეძლეოდეთ, ისეთი საქმიანობა გააჩალოთ, რომელიც ხალხს პოლიტიკურად და სოციალურად აძაბუნებდეს და აჩაჩანაკებდეს. არა, კერძო საკუთრება მარტო უფლება კი არაა, ის მოვალეობაც არის, მას თან ახლავს განსაზღვრული მოვალეობა, მოვალეობა იმ ერის წინაშე, რომლის საუკუნოებითი ბრძოლის შედეგია ის სიკეთე, რომელიც თქვენ ხელთაა. კერძო პირი ფლობს იმდენად, რამდენადაც ეს მფლობელობა თვით ერისთვის, მისი კეთილდღეობისთვის სასარგებლოა. კერძო პირი კარგავს უფლებას იყოს მესაკუთრე, რამდენადაც ეს მისი უფლება ქართველ ერის, მისი უმრავლესობის არსებობის წინააღმდეგაა მიმართული. ქართველი ერი თუ ჰკარგავს მამულს, გარდა იმისა, რომელსაც რუსის მთავრობა ძალით დაეპატრონა, ჰკარგავს თავად-აზნაურობის წყალობით; თუ ქართველი ერი ინარჩუნებს მიწა-წყალს — მშრომელი წვრილი მესაკუთრის წყალობით. თუ ქართველი ერი აუმაჯობებს თავის კულტურას, თუ ის ქმნის მეურნეობის ახალ დარგებს და განვითარების გზაზე მიდის, ეს მხოლოდ წვრილი მესაკუთრის წყალობით. აქედან აშკარაა, თუ გსურთ ქართველი ერი წელში გაიმართოს, უნდა დასცეთ თავად-აზნაურობა და ძალა გადასცეთ წვრილ მესაკუთრეს. მართლაც და, საქართველოში ას მსხვრებზე 87 გლენია, 9 თავად-აზნაურია. სხრაშიც დაახლოვებით 6 იქნება ისეთი წვრილი მესაკუთრე, რომელიც თუმცა კიდევ არ განთავისუფლებულა სავესებით ძველებურ კუდაბზიკობისაგან, მაგრამ უკვე ჩაება მამულის დამუშავებაში და ამგვარად ერის შემომქმედი ელემენტია. დაგვჩა ასზე სამი კაცი. აი ამ რაოდენობით უმნიშვნელო რიცხვს უჭირავს უმთავრესი ნაწილი საქართველოს მიწა-წყლისა. მთელი ბორჩალოს მაზრა სულ ოთხი გვარის ხელში იყო; თითქმის მთელი სამეგრელო სამეგრელოს მთავრის შვილს ეკუთ-

ვნის და როდის გაგვიდის, არ ვიცი. და განა ვინმეს შეუძლია შეჩერდეს რაიმე ზომის წინაშე, რომ ეს მსირედი ნაწილი, რომელიც ფლანგავს ქართველ ერის ტერიტორიას, რომელიც უფსკრულისკენ მიგვაქანებს, მოსპობილ იქმნას?

მაგრამ ვთქვათ, მემამულეთ ჩამოართვით მიწა—წყალი. როგორ უნდა მოიხმაროთ? აქ წინ დაგხვდებათ სხვა და სხვა რეპეტი. ერთი გეტყვის: „მუნიციპალიზაცია საკუთრებისა ეს ერთად-ერთი ფორმაა, რომლის მომხრედ ჩვენ (იგულისხმეთ რუსის სოც.—დემ.) შეგვიძლია გამოვიდეთ კაპიტალისტურ ხანაში.“ ახლა მას მეორე წამოვადევნა და კიდევ უფრო ბუნდოვან და ზღაპრულ გეგმას მოგცემთ: ჩვენ უსათუოდ სოციალიზაცია გვსურსო. სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს ეს ორი ბუნდოვანობა შესაფერად დავაფასოთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ არც ეკონომიური, არც სოციალური, არც ტექნიური მდგომარეობა დღევანდელ მიწადმოქმედებისა, მით უფრო ხალხის სულიერი განწყობილება არ ეგუება ამ გეგმებს. ჩვენ არც კი აღვნიშნავდით მათ, ვინ იცის, სხოვრებაში რამდენი უსაფუძვლო ოცნება იბადება და ქრება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ჯგუფები თითქო სდილობენ ეს ზღაპრები პრაქტიკულ პოლიტიკის საფუძვლად გახადონ და ამით ხალხს გზაკვალს უბნევენ. ამ ზღაპრებმა უკვე საკმარისი ვნება მოუტანეს ქართველ ხალხს. მაშინ როდესაც ყოველი გლეხი სულ სხვა დევიზით გამოდის. ის ამბობს: მშრომელს თავისი შრომის იარაღი. მიწა ხომ საფუძველია მისი შრომის. მაშ ყოველ მიწადმომქმედს იმდენი მამული, რამდენსაც გაწვდება მისი საქმიანობა—აი ჩვენი მისწრაფება. ამ გვარად ჩვენი მიზანია დიდ მემამულეთა ექსპროპრიაცია. რა საკვირველია, პირდაპირი გზა ამ მიზნისაკენ არის რევოლუციონური გამოსვლა. ამ გამოსვლისათვის ჩვენ მუდამ მზადებაში უნდა ვიყავით და იმავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ აჯანყება ყოველთვის მხოლოდ დაგვირგვინებაა იმ პროცესისა, რომელიც სხოვრებაში მოქმედობს და ვითარდება. ბრძოლა გლეხისა ბატონის წინააღმდეგ ისევე ხანგრძლივია, როგორც თვით ფეოდალობის არსებობა. მაგრამ დღეს ამ ბრძოლას უფრო მკაცრი ხასიათი აქვს. რამდენად დემოკრატია წელში იმართება, რამდენად ის შეგნებული ხდება, იმდენად მისთვის აუტანელია მუდმივი ნამდვილი ყმობა უმამულობით გამოწვეული. ბრძოლას ეძლევა სისტემატიური ხასიათი. ტერორი, ბოიკოტი და სხვა საშვალეობა მუდმივ მოქმედებაშია. გლეხთა კავშირი თანდათან იზრდება და ბრძოლის საშვალეობაც ძლიერდება. თუ ჩვენ ვაღიარებთ პირდაპირი ბრძოლის საჭიროებას, იმავე დროს ჩვენ ვერ დავერიდებით სხვა საშვალეობათს. ესეთია მამულის გამოყიდვა გლეხების მიერ. გლეხები ადგენენ საკუთარ ორგანიზაციებს მამულის შესაძენად. ამ საქმეში მათ უნდა დაეხმაროს მთელი საქართველოს დემოკრატია, რადგან გლეხთა მესაკუთრედ გახდომა და ბატონისაგან განთავისუფლება—ესაა უმტკიცესი საფუძველი ჩვენი მომავლისა. სამწუხაროდ, ამ აზრს ბევრი მტერიც ჰყავს. აი რას სწერს სხვათა შორის რუსის სოც.—დემ. პუბლიცისტი ბ. ნ. ყ—ია: „მიწების გლეხთა მიერ დღეს შეყიდვას არც ვებრძვი და არც ვქადაგებთ. როცა გლეხები ასეთ სურვილს აცხადებენ, ჩვენ ვეუბნებით, თუ გნებავთ, იყიდეთ, მარა ეცადეთ იყიდოთ, რაც შეიძლება იათად და შეღავათებით.“ სოტა შემდეგ: „თუ გლეხი რჩევას გვკითხავს, ვიყიდო

თუ არა, მას ჩვენ ვეუბნებით: „ეს თქვენი ჯიბის საქმეა, ჩვენ მხოლოდ დაგვხმარებით. შემამულესთან მოლაპარაკებაში და მამულის ხელსაყრელ პირობებით გამორთმევაში.“ (ნ. უ. თხზ. გვ. 536). აქ ორი რამ აშკარად ირკვევა. ერთი მხრით არის „ჩვენ“, ე. ი. რუსის სოციალ-დემოკრატები, მეორე მხრით „თქვენ“, ე. ი. ქართველი გლეხი. თუ ასეთი ჩვენ-თქვენობაა მათ შორის, რაღაზე გამოგვიტყედეს ყური რუსის სოციალ-დემოკრატებმა ჩვენ ვართ ერთად ერთი წარმომადგენელი ქართველ გლეხებისო. მეორე, როცა გლეხი თავისი ნაოფლარით სდილობს ერთი მტკაველი მიწა შეიძინოს, რუსის სოციალ დემოკრატი მას ეუბნება, ეს შენი ჯიბის საქმეა, თუ ძალიან დამიძაღლებ (აქ მაღლობა არც ისე უანგაროა), დალალობდი გავწევო.

ჩვენში მიწის მობილიზაცია ისეთი სისწრაფით ხდება, ისეთი ძლიერი იერიშია მოტანილი ჩვენზე ყოველ მხრივ, რომ საჭიროა ყოველ ზომას მივმართოთ, რათა ტერიტორიაც დავიცვათ, მშრომელი ქართველიც უზრუნველვყოთ. თუ გლეხი მიწის შეძენას მოინდომებს, არამც თუ გვერდზე არ უნდა გავდგეთ, ეს პირდაპირ სამშობლოს ღალატი იქნება, პირიქით უნდა წავაქეზოთ და ყოველ ნაირად ურთიერთ დავხმაროთ. დღეს დიდ ეროვნულ საჭიროებას წარმოადგენს ეროვნულ ბანკის შექმნა. აქ სიძნელე მთავრობის მხრივაა, თორემ დანარჩენ დაბრკოლებას ადვილად გადავლახავთ. ხოლო ვიდრე ამ ბანკს დავაარსებდეთ, საჭიროა ეხლავე შევუდგეთ ეროვნულ ფონდის დაარსებას. რასაკვირველია, ამ ფონდს არ ექნება მიზნად მხოლოდ მამულების შეძენა გლეხთათვის, მაგრამ ეს უმთავრესი მისი დანიშნულება უნდა იყოს. ჩვენ ამ ფონდის შესახებ შემდეგ გვექნება დაწვრილებით ლაპარაკი. მხოლოდ ახლავე ურჩევთ ჩვენ თანამოაზრეთ შეუდგენ საქმეს, შეადგინონ ეროვნული ფონდის წრეები, იქონიონ მსჯელობა, გამოარკვიონ მისი დანიშნულება, საშვალება და გამგეობა. დარწმუნებული იყავით, მსირედითაც ბევრი გაკეთდება, როცა შეგნებით მდიდარი ხართ და შეუჩერებლივ, სისტემატიურად მიიღტვით განსაზღვრულ მიზნისკენ.

ამნაირად ჩვენი პრინციპია — საქართველოს ტერიტორია ქართველ ერს. ამ პრინციპის ძალით ჩვენ ვებრძვით ყველას, ვინც უნდა იყოს, ჩვენ ტერიტორიაზე გარედან მოსული და მივმართავთ ყოველ საშვალებას მათ მოსაგერებლად. შიგნით ვებრძვით დიდ შემამულეთ, რათა ჩამოვართვათ მათ მამული და წვრილ-წვრილ ნაჭრებათ დავუტიგოთ მშრომელ გლეხკაცობას. ტერიტორიალური და მასთან მჭიდროდ შეკავშირებული აგრარული საკითხი ჩვენ მიგვაჩნია ძირითად საკითხად ქართველი ერის არსებობისა. ვინც მას გვერდს უვლის და არ იბრძვის სამშობლოს ტერიტორიის დასაცვლად, ის თავისი ერის მოღალატეა. ვინც იბრძვის ამ ტერიტორიის დასაცვლად, ის ხელს უწყობს ქართველ ერის არსებობის დასვას, საქართველოს გამაგრებას, ქართულ დემოკრატიის გაძლიერებას და მით ჩვენი მომავლის — დამოუკიდებელ საქართველოს შექმნას.

იხილეთ: „დამოუკიდებელი საქართველო“ — ნაშრომი, რომელიც გამოვიდა 1917 წელს. იხილეთ: „ქართველი ერის მოღალატე“ — ნაშრომი, რომელიც გამოვიდა 1918 წელს.

თანამოღაწრეთ და თანამგზავნობით.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი ქართველი გრძნობს სამშობლოს დღევანდელ მდგომარეობას, ბევრი იტანჯება ამ გრძნობით. გრძნობა ძვირფასი განძია, უიმისოდ შორს ვერ წახვალთ, მაგრამ გრძნობა ბრმაა და უძლურია, თუ ის განმარტოებულია, თუ მას არ აშუქებს გონება, რომლის შემწეობით განსაზღვრულ სახეს იღებს თქვენი მისწრაფება, ყალიბდება თეორიულად, ყალიბდება პრაქტიკულად. ჩვენ არ შეგვიძლია, სამწუხაროდ, არ ვცნობთ, რომ სხვა და სხვა მიზეზთა გამო ქართული პოლიტიკური აზრი სუსტი და გამოურკვეველია. ის უფრო ზოგადი პრინციპების სფეროში ტრიალებს და მოკლებულია პრაქტიკულ საქმიანობას. მაშინ როდესაც თუ თქვენ არ მოახდინეთ რთული ეროვნული ცხოვრების ანალიზი, თუ თქვენ არ გაითვალისწინეთ, არ ასწონ — დასწონეთ ყოველი მხარე ეროვნულ ცხოვრებისა, თუ არ შეიმუშავეთ რთული გეგმა ამა თუ იმ საკითხის გადასაჭრელად და პრაქტიკულადაც არ იმუშავეთ, ისე ზოგადი პრინციპი მკვდარი რჩება. ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა, ხელი შევეწყობთ ქართულ ეროვნულ აზრის გარღმავებას, მის ჩამოყალიბებას, მის განსაზღვრულ სახედ გარდაქცევას. რასაკვრელია, პირველ ნომერში ჩვენ არ შეგვიძლო ყველა საკითხს შევხებოდით და გაგვერკვია — ეს მომავლის საქმეა. ჩვენ მხოლოდ წამოვაყენეთ საზოგადოდ ქართველი ერის არსებობის საკითხი. და ჩვენი სათხოვარი მხოლოდ ერთია, ჩაუკვირდით ჩვენს აზრებს, დაფიქრდით მათ შესახებ, კრიტიკულად ასწონ — დასწონეთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ ასე მოიქცევით, იძულებული იქნებით ორში ერთი გზა აირჩიოთ: ან უარყოთ ქართველ ერის მომავალი და მიეკედლოთ მის დამრღვევ ძალებს ან მოგვემხროთ ჩვენ და ჩვენთან ერთად ეროვნულ შემოქმედების გზაზე იმუშავოთ.

ასი წლის პოლიტიკურმა დაბეჩავებამ ქართველებში შექმნა ერთნაირი თავის პიროვნების უარყოფა, თავისთავის უიმედობა და სხვისი გაზვიადებული იმედი. „ერთმორწმუნე“ რუსეთი — ეს ჩვეულებრივი ფრაზაა ყოველ მოპოლიტიკოსე ქართველის პირში. რუსეთის იმედი სხვა და სხვა ფერით მუდამ პირზე აკერია ქართველს და ყოველ ადგილს გაიძახის. წინად სულ ერთმორწმუნეობაზე იყო საქმე, როცა ამ ფანდმა არ გასჭრა და „ერთმორწმუნე“ რუსეთმა ყოველ მტერზე მეტი ზიანი მოგვაყენა, ჩვენმა პოლიტიკოსებმა მაინც ჭკუა ვერ ისწავლეს, მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა სოციალდნად ჰანგი შესცვალა, ახლა ისინი ამბობენ: ეს რუსის ბიუროკრატია იყო, რომ გვარჩობდა, რუსის ხალხი, რუსის დემოკრატია კი ყოველ წყალობას გვიწყალობებსო. და აი მუდმივი ლაქუში და თავის დამსირება, მუდმივი ყვირილი-მიყვარხართ, უთქვენოდ ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენიაო. ამ წრე გადასულ ლაქუშს მეტად სუდი შედეგი მოსდევს.. ესაა თავის მოტყუება. ყოველი ერი თავის ბედის მჭედელი თვითონაა. ისეთ პირობებში, როგორშიაც ჩვენ ვართ, სხვა ერებიც ყოფილან: უნგრეთი, ჩეხია, ირლანდია, იტალია და ბევრი სხვა. ერთი მაგალითი მაინც მოიყვანეთ, რომ გაბატონებული ერის დემოკრატიას, ხალხს გაენთავისუფლებიოს დამონებული ერი. განა თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ რუსის ხა-

ლხი ინგლისის ხალხზე უფრო დემოკრატია? რაც რუსეთისთვის დღეს იდეალია, ის ინგლისის სამასი — ოთხასი წლის წინეთ ჰქონდა, მაგრამ აი შეხედეთ, ასი წელიწადია ირლანდია უკიდურესი თავგანწირულებით ებრძვის ინგლისს თვითმართველობის მოსაპოვებლად და ჯერაც ვერ მოუპოვებია. და თუ მოიპოვებს, ეს იქნება გამარჯვება ირლანდელ მემომართა სისხლით მოპოებული. გერმანია ხომ რუსეთზე ნაკლები არაფრითაა? მას აქვს სრული დემოკრატიული პოლიტიკური წყობილება, წარმომადგინეთ, სოციალ-დემოკრატებიც კი ბლომად ჰყავს, მიუხედავად ამისა სწორეთ დღეს გერმანია აწარმოებს პოლონელთა მამულების ექსპროპრიაციას გერმანელებით დასასახლებლად.

ტყუილია, თითქო მხოლოდ რუსის ბიუროკრატია იყოს რუსის პოლიტიკის მატარებელი. რუსის პოლიტიკას ჰქმნის რუსის ერი თავის მთავრობის ხელმძღვანელობით. და რამდენადაც ეს მთავრობა დემოკრატიული გახდება, რამდენადაც მასსა მეტ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პოლიტიკაში, იმდენად რუსის პოლიტიკური მიდრეკილება უფრო ძლიერის ინტენსიური ნაბიჯით ივლის თავისი ისტორიული გზით, ეს გზა კი არი' გზა სენტრალიზმის, სხვა ერთა დასემისა და გათქვეფის. მაშ თავს ნუ ატყუებთ. განა იმ მამულებზე, რომელიც ქართველებს ჩამართვეს, რუსის ბიუროკრატები დასახლდნენ? თუ იქ სხვავრობს რუსის ხალხი, რუსის გლეხები? განა სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგ., რკინის გზაზე, რუსის ბიუროკრატები არიან მუშად? თუ რუსის მუშები? ეს რუსის დემოკრატიის მესიანიზმი მხოლოდ ერთგვარი ფილენჯის ქარია ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. მას კვებავს მონური გრძობა, გრძობა მორჩილებისა, რომელიც მხოლოდ გვამსირებს და გვათახსირებს. ეს მონები თქვენ უსათუოდ შემოგძახებენ: როგორ თუ თავისუფალი საქართველო! ეს რომ რუსებმა გაიგონონ, ხომ იმასაც წაგვართმევენ, რაც გვაქვსო. იმედია, თქვენ ნათლად დაანახვებთ ამ მონებს, რომ წასართმევი ქალარაფერი დაგვრჩენია, უფრო შორს წასვლა არც შეიძლება, და თუ წართმევაზე მიდგა საქმე, თუ არ იბრძვი, სულსაც კი წაგართმევენ. ამიტომაც რუსის მოტრფიალეს, რა სახის და ჯიშისაც არ უნდა იყოს, ხელი ჰკართ, მოიშორეთ. შეადგინეთ წრეები, სადაც სისტემატიურად გააკვირეთ ქართველი ერის არსებობის საკითხები. შეიმუშავეთ ზომები ეროვნულ თავდასების საწარმოებლად, გამაგრდით თეორიულად, გაიმართეთ წელში პრაქტიკულად. ისოდეთ, დაბრკოლება ძლიერი და უთვალავია, მით უფრო მიმზიდველია ბრძოლა, ბრძოლა მშობლიურ ერის კეთილდღეობისათვის. იმედია, ასეთ წრეებთან ჩვენ რედაქციას ექნება მჭიდრო კავშირი. ლეგალური გამოსემანი რომ გადაათვალიეროთ, იფიქრებთ, თითქო ჩვენში ისეთი არაფერი ხდებაო. მაშინ როდესაც დღე არ გადის, რომ ქართველ ერზე რაიმე იერიში არ მოიტანონ; ამ იერიშს ხშირად პასუხიც ეძლევა. მოკვავოდეთ სნობები იმ ქართველთა შესახებ, რომელნიც სამშობლოსთვის იბრძვიან და იჩაგრებიან. ბევრი ყოფილა ასეთი ამბავი ჩვენში და ბევრი დაკარგულა. მეორე მხრით, ისოდეთ — პირველი მტერი ქართველ ერისა არის თვით ქართველი. სამშობლოს მოღალატე, სულიერად ბინძური, ჩინ-ორდენების და გამორჩენის მიმდევარი, ვითარცა წუწკი ძაღლი, მთავრობას ელაქუსება, თვალეში შესტყერის და ხშირად

თ 193
1913

მის განზრახვასაც წინ უსწრებს. ხშირია ჩვენში მღვდელი, რომელიც ქართულ ენას ეკლესიიდან აძევებს, ხშირია ქართველი მასწავლებელი, რომელსაც შურს თითქო ის პაწაწკინტელა კუნჭულიც რომელიც საქართველოს სასწავლებელში ქართულ ენას უჭირავს, და სდევნის, მას, რომ ჩვენ მტერთა გული მოიგოს. ხშირია... მაგრამ რაღა ჩამოვთვალათ? განა ერთი და ორია ჩვენში სამშობლოს მოღალატე, ორგული, მტერი? მოგვაწოდეთ ცნობები ამ წუწკ არსებათა შესახებ. ვინ იცის, დღეს თუ არა, ხვალ მაინც შევძლოთ შესაფერად დავაფასოთ მათი ღვაწლი. მიაქციეთ განსაკუთრებითი ყურადღება მიწა-წყლის საქმეს. განსაკუთრებულად თვალ-ყური ადევნეთ გლეხთა მდგომარეობას, მოგვაწოდეთ ცნობები იმ მემამულეთა შესახებ, რომელნიც ავიწროებენ გლეხებს. აგრეთვე, იმ მემამულეთა შესახებაც, რომელნიც თავის მამულებს უცხოელებს უგდებენ ხელში. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დემოკრატია შესძლებს ამ სამშობლოს მოღალატეთა ჯგროვან დასჯას. მოგვაწოდეთ მთავრობის სხვადასხვა დოკუმენტები, მოგვაწოდეთ სტატიები სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხის შესახებ, ერთი სიტყვით, ყოველი მასალა, რომელიც ქართველ ერის მდგომარეობას შეეხება, ჩვენთვის ძვირფასი იქნება. ამავე დროს გთხოვთ, წიგნებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პოლიტიკურ-სოციალურ საკითხებს. აქ მუშაობა პარალელულად ორი გზით უნდა სწარმოებდეს. ერთი გზა — თეორიული მესადინეობა: რა არის ერი, მისი ბუნება, მისი მნიშვნელობა. ეროვნული ბრძოლა სხვადასხვა ქვეყნებში. ეროვნულ მეურნეობის საკითხი.

იხილეთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ამ საკითხებს, რადგან ეს უმთავრეს ძარღვთაგანია ეროვნულ არსებობისა. თუ ქართველი ერი ეკონომიურად არ გაძლიერდა და ეკონომიურად ვერ მოიგვრია მანად იერიშით მოსული ხალხნი, მაშინ პოლიტიკურადაც ვერ გაღონიერდება. მეორე გზა — ქართველი ერის მდგომარეობა. ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით ყველიმ საკითხს ქართველ ერის შესახებ, რომელთა შესწავლა, გათვალისწინება აუტილებელია ყოველი ქართველისთვის, რომელიც მოწადინებულია შეგნებულათ იბრძოლოს თავის ერის საკეთილდღეოდ. ჩვენ ვესდებით ეს საკითხები თანდათან წამოვაცუნოთ და გავარკვიოთ ჩვენს ყურნალში. ხოლო მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება ქართველ ერის ისტორიის მიმდინარეობაში იმ ძალებს, რომელნიც ჰქმნიან მის მთლიანობას, ამაღლებენ, წინ სწევენ და იმ ძალებს, რომელნიც მას არღვევენ, აკნინებენ, ამცირებენ. მთელი ჩვენი ისტორია ამ ორ ძალთა ურთიერთი ბრძოლაა. ამ ძალთა შეგნება მომავალ სამოქმედო გეგმასაც ნათლად დავანახებთ.

მივეკედლოთ შემომქმედ საქარველოს, ვემსახუროთ მას და შევუწყოთ ხელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ განთავისუფლებას. რედაქციას სრული იმედი აქვს, რომ თქვენ ყოველ მხრივ მას დაეხმარებით და ამით საშვალეობას მისცემთ ემსახუროს სანეტარო იდეალს — თავისუფალ საქართველოს.

თუმცა პირადათ არ გიცნობთ, „თავ. საქ.“ არ დაგიკვეთინათ, მაგრამ თქვენი მისამართი გავიგეთ და გიგზავნით.

მისამართი ყოველგვარ კორესპონდენციისათვის: